# ცისკარი.

ქართული სიტყვიერებითი

ჟურნალი.

ტფილისი.

1853 წელს.

№ 2

ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ,

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ Февраля 1 дня 1853 года.

Исправляющій должность Цензора Грузинскаго языка

*Свящ. Алексѣевъ.*

Въ Типографіи Канцеляріи Намѣстника Кавказскаго.

3.2
p.t.
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

ქართული სიტყვიერებითი

**ჟურნალი.**

---

ქართული ლექსთ-თხზულება.

წამება ქეთევან დედოფლისა.

---

ქეთევან ბატონის მჳლთან.

შენ უწინარეს ყოველთა, საუკუნეთა მყოფელო,
თჳსისა დასაბამისა, თჳთ თავსა შორის მჳერობელო,
ვითარ და რომლის ძველი დღეთ, უცნობო შეუტყობელო,
და საიდუმლოსა დიდისა, ვერ ვისგან მოსათხრობელო.

განსაკრთომელი სახელი, შენი ვახსენოთ ვინამან,
რომელმან შექმენ ყოველი, უხვებით მოწყინამან,
ცა და ქვეყანა უფსკრული, ზღვათა განვრცომით მდინამან,
და მზე ზომ დიდმან და მცირემან, სამრწოლმან შესაშინამან.

ბნელთა წყვდიადთა შექმნთა, დავლეგმან დამავსებელმან,
ცათ შემმოქმედმან წყალთა მკმელმან, სოფლისა მაარსებელმან,
კაცთა მსადემან ყოვლთა, კეთილით აღმავსებელმან,
და ზეცის მწყობრთა ბოროტთა, დამცემმან დამავსებელმან.

შენ ხარ მიზეზი ყოვლისა, უსილავ სახილველისა,
ცისა მზისა და მთვარისა, ვარსკვლავთა დაუთვლელისა,
მიწის წყლისა ქარისა, ცეცხლისა ჭეთერ მწველისა,
და ქვეყნად მომყვანი კაცისა, ახალისა და ძველისა.

შენ მოინებე ყოველთა ცხოველთა, მოყვანებანი,
მხეცთა პირუტყვთა ფრინველთა, თევზთ დავანებანი,
მათდა უარეს პატივით, კაცთა ქვეყანად გებანი,
და მადლობის შემომწირველმან. რა გკადრო მე გლახ ქებანი.

მრავალნი დაშვრენ ვერა თქვეს, შენი საფერი ქებანი,
ვითარცა გიხმს მაღალო, შესხმისა მოხსენებანი,
სიტყვა მოაკლდათ ცუდ იქმნათ, ჭაზრი და მოგონებანი,
და შეუძლებელ არს კაცთაგან, ღვთაების მიწდომებანი.

სოლომონ შენდა სასიბრძნოდ, ჰსცნო თჳსი ნიჭთა კლებანი,
დავითს გმა ტკბილად მგალობელისა, გაჰტყდა ქნარი ებანი.
პავლემ სამ ცადმე აღსრულმან, განივრცო განკვირვებანთა,
და ვერ ვინ გამოთქუა ჴელოვნად, საღმრთონი ვითარებანი,

დადუმდნენ ზარი დაყუოი, ყოველთა შენთა უცნოთა,
დამბრმალთა დაყრუებულთა, შლეგთა მზაგთა და უგრძნოთა,
ბრძენთა და ფილოსოფოსთა, ყარშიოთა უზნოთა,
და ვინც არ გიცოდეს ყოფილი, მყოფი მყოფადი უგნოთა.

შენ გევედრები ვინა ხარ, მის ყამოსა ხანისა,
მათქმიო სპარსთაგან წამება, დედოფლის ქეთევანისა,
თუმცა ბუნებით ლბილისა, მოჴარისა სონავანისა,
და ქართველთა მანათობელისა, მოჴარისა მონავანისა.

ვირე დრო ჰქონდათ ივერთა, თჳთ უფლად მეფედ ჯდომისა,
კასპიით პონტოდ პყრობისა, ხაყმოდ გელ მისაწდომისა,
სპათაგან მოლაშქრობისა, ხშირად წადილი ომისა,
და ვერ ვინ ჰკადრებდის წყენასა, იცოდნენ ძალი ლომისა,

რა მისთა მპყრობთა განიყვეს, ივერთა სამეფოები,
სამოთხე კეთილ საშვები, ქვეყნად სწორ მოუპოები,
ერთი მეორის უმჯობე, გულისა დასატრფოები,
და დასცხრა მათ გრძლო ჰსვებით, ცა წყალობისა მთოები.

ოდეს განიყვნენ მოაკლდათ, მათ ძალი ამა ჟამებთა,
საქართველოთა მეფეთა, ქრისტეს მოსავთა მწამებთა,
დაუწყეს სპარსთა მძლავრება, გარდასხმიდიან შხამებთა,
და აწვევდნენ რჯულის დაგდებას, ღ̃თის სათნო დედა მამებთა.

სპარსნი სძულობდნენ მტერობდენ, ქართველთა დანამცირებთა
ჟარის ყოფას აწვევდენ, ქრისტეს რჯულისა მჭირებთა,
გრწამდესთო ერთი არსება, ნუ ჰსავთ სამთა პირებთა,
და მათ სტანჯვიდენ მრავალთა ქრისტიანეთა შვილებთა.

თუ არ იწამებთ მტყუოდენ, თქჳენ მაჰმად ფეღამბარადო,
მას ზეცით მოვლინებულსა, წინასწარ-მეტყველთ გვარადო,
სამოთხეს სულთა საშვებლად, ქვეყნად ჴორცთ გასახარადო.
და უცილოდ მოგწყვეტთ რჯულთა თჳს, იცოდვად მივიჩნევთ არადო

მრავალნი მოსწყდნენ სპარსთაგან მეფენი მოწამეობით,
სისხლი დასთხიეს ქრისტესთჳს. ტანჯვა თავს იდვეს მჴნეობით,
არჩილ ლუარსაბ დიმიტრი, შუშანიკ პირად მზეობით,
და სხჳა ჩინებულნი მთავარნი, რჯულისა დაუტეობით,

ქეთევანისა პატიჟთა, მე ვიტყვი მ:თდა მეტებით,
არ ვინ დასჯილა დედათგან, მისებრივ გამომეტებით,
ჴორცთ ჰგლეჯდნენ ცხელის გაზებით, ლერსმებით სჩხვლეტ-
დენ მწვეტებით,
და მოქუფრით ხისსლი სწდებოდა, ძარღვების დასაწყვეტებით.

მეფეს, უთქუამს თეიმურაზს, მაშინდელი მისი ცნება,
თუმცა მსმენსა ვით დამსწრებსა, შეურაცხავს გაგონება,
რალად ცვისამს სხუათა ლექსთა, მომატება მოგონება,
და მაგრამ ბრძანებს არ უშლით, გინცა იტყვის დართო ნუ,

მის ნეტარის წამება, მეფესთან მოკლედ თქმულები,
ჭირით ჭმუნვით და ვაებით, არიან დატვირთულები,
გულ დაკოდილსა არ ძალ უძს, არა სტკიოდეს წყლულები,
და მისთჳს გრძლად ველარ მოგვითხრა, პატიჟი დაუსრულები.

თუცა მწადს სათქმად მეშინის, არ ძალ მიძს გათამამებ
წმიდის ქეთევან დედუფლის, სასტიკი ტანჯვა წამება,
მე ვით მოგითხრათ უცებმან, ენა ასლავე დამება,
და მაგრამ იგივე მეწევა, ვისი მაქუს რწმენა წამება,

უწყალომ მძლავრმან მძლიერმან, მეფემან სპარსეთისამა,
შაჰაბაზ სახელ დებულმან, ჯარის მყოფმან ღჳთისამან,
იზრახა გახთა აღმოფხვრა, მწადემან დიდის ხნისამან,
და წარგზავნა სპასნი მოწყვეტად, ბოროტმან ავის ზნისამან.

დედა მეფისა მის ამბის, მოსმენით დაჭმუნდებოდა,
მას დღე მზე აღარ ნათობდა, ცა რისხვით მოქუხდებოდა,
მავთა ზღუათაგან ცრემლისა, ნაკადი მოსდინდებოდა,
და წასვლას ბრძანებდა თათბირი, ამაზედ გარდასწყდებოდა.

მსწრაფლად წავიდა მასთანა, ნებით ჴელ შეუხებლად,
ახთ დედუფალი ქეთევან, სახვეწრად საოგებლად,
ე თუ დაიცვას ქვეყანა. მტერთაგან უოკრებლად,
თავი გასწირა საკჳდავად, უგვნესრად უოკრებელად.

მივიდა დახვდა შაჰბაზ, პირმავად მოგებებული,
ამწყრალი გარისხებული, ვით ლომი აღბორგებული,
ლის შჯულთ თხოვნა დაუწყო, წაუდო დაშთა ვებული,
ამერმე წარგზავნა შირაზად, იგ პირმზე მოდღევნებული.

რ შეივედრა მოაჯე, არცალა მისი კახეთი,
ხლად მოწყვეტას ექადდა, სიტყვითა, მუქასე მუქასეთა,
შერობალ იყო შაჰბაზ, ეშმაკის ბადე მახეთა,
და ემწიფლებული რჯულითა, მისის მინარის ძმ:ხეთა.

წავიდა ლაშქრით მოსწყვიტეს, მრავალნი დედა წულები.
მამა სიმკნით რჩეულნი, ბრძოლათა მონახულები,
სხჳა წაასხეს პატიმრად, ხელ კრულნი დაბაწრულები,
და უწარეს ბაბილოვნელთა, სტიროდნენ წარტყვევნულები.

შირას წუხდა დიდს ხანს ქეთევან, სულთქმით კვნესით და ვაებით,
შჯლი შჯლთ სიკჳდილს შეესწრა, მათგან უწყალოს ზვაებით,
მისთჳს დაბნელდა ქვეყანა, მზემ შეიმოსა შავებით,
და მაშინც არ დასცხრა შაჰაბაზ. გულითა განაქჳავებით.

მოსთქუამს რა გლახ ვჰყო უთქვენოდ. სულთა უტკბოსნო მკლებო
ჩემგან საკუთრად ნაზარდო, ჯერ ისევ ურმანო ჩვილებო.
ვარდნო კოკობნო უშლელნო, ზამბახნო გაუფურჩვნილებო,
და სიკუდილის ცელით მომკილნო, უჟამოდ გარდაცვლილებო,

ჩემო შვების წალკოტნო, ალექსანდრე ძლევანო,
სარო და ნაძვო ნანორჩნო, ახლნო ნერგთა ხევანო,
იერიქულნო ვარდებნო, პალესტინისა მტევანო,
და უთქუჳნოდ საწყლად სულ დგმულმან, ვითალა ვიქეთევანო.

ჭირზედან ჭირთა დართული, სიცოცხლე გამწარებული,
მიწყივ ტირილის სულთ ითქმის, იგ ნუგეშ დამგირებული,
არ ახლდნენ ბანოვანები, არცა სამღუდელოთ კრებული,
და ეთქუათ რამ გულის სადები, ნუ ხარო აგრე ვებული,

ცისეს ჰსჯდა მთვარე პატიმრად, პირ მცხრალი მიცალებული,
საკჳდავად განმზადებული, ტარიგი მრავალ წლეული,
მარხვით მომებარი მასრწნილი, და ლოცვით ღამე თეული,
და ზეცის ხიძის მომლოდნე, სძალი სასძლოსა წვეული.

რა ხანი წარხდა დასცხრების, ასე ეგონათ ყველასა,
იგ უფრო განმკინდებოდა, ვინ კედ ჰყოფს მისსა შველასა,
რა დააწყნარებს მძვიერსა, მგელსა კუდ მქნევსა მელასა,
და ბილწის მაჰმადის მოსავსა, რჯულითა საძაგელსა,

არ დააწყნარა შაჰაბაზ, საცთურმან ეშმაკისამან,
დასაბამითვე კაცთ მკჳლელმან, სისხლთა დამთხევმან ძმისამან,
ალძრა იგიცა უზომოდ, წადილმან გულის თქმისამან,
და ბრძანა დედუფლის წამება, მპყრობელმან სპარსეთისამან,

ებოძა შახის რაყამი, იმამყულ სახელ დებულსა,
შირაზის ხანად მჯდომელსა, კაცს ღირსად განდიდებულსა.
თუ არ იწამებს ჩუენს რჯულსა, მაჰმადის მოგონებულსა,
და ნუ აცოცხლებო ქეთევანს, დედათა შორის ქებულსა.

ებრძანა მოკალ წამებით, ეგ უცხო ტურფა ლამაზი,
პირად მზე ტანად ლელწამი, ქალი ზარიფი და ნაზი,
ვირ არ შეუსვამო მის სისხლსა, მე არა ვქნაო ნამაზი,
და მაჰმადის ფიცით იმამყულს, ასე მოსწერდა შაჰაბაზი.

განკრთა რა ესმა იმამყულს, ბრძანება უსახურისა,
ვით იკადრაო კელმწიფემ, მაზედ ძიება შურისა,
რა სანუქფოა დედისა, ძისაგან ნამსახურისა,
და დიდს ხანს დაკრძალა წერილი, მის ეშმაკისა ჭურისა.

მერმე წარგზავნა სარანგნი, დედუფლის მისათხრობელად,
შესთვალა ბრძანებს კელმწიფე, რისხვისა დასაცხრობელად,
თუ უარს ჰყოფსო მის რჯულსა იქმნების ქრისტეს მგმობელად.
და ისევ წარვავლენ დიდებით, მუნვე კახეთის მყრობელად,

მოიღეს მის წინ დააწყვეს, სხჳა და სხჳა იარაღები,
საქენჯნი რვალნი რკინანი, მსურვალთა ცეცხლთა სალები,
ბარები, ქჳაბი, გაზები, შამფურნი დასადაღები,
და თუ ცა თუ ხორცთა საწვავნი, სულისა ასადაღები.

მან არმალასად მიიძღვნა, ვით სასძლოს სამკაულები,
მოსართავ მოსაკმაზავად, განგებით მისთჳს ქმნულები,
თავად ჯილად და სირიზად, საუფრე სათვარდულები,
და სათუთთა ხორცთა საგლეჯნი, საწვავნი დასაწყლულები.

უბრძანა გარო სოფლისა, დამვიწყებული ლხინისა,
არად მიჩნს ჭირნი საჭიროდ. ვარ უმარგესი ტინისა,
არ მეშინისო თქჳფნისა, დასურვებულის რკინისა,
და რაგინდ რა მითხრათ ტანჯვისა, სასტიკად მოსათმინისა.

მე ვით ვგმო ქრისტე მე ღჳთისა, ქალწულისაგან შობილი,
უჟამო სიტყჳა ხორც ქმნილი, მამის ერთ არსად ცნობილი,
ჩუჱნთჳს ჯჳარზედან ნამსჭვალი, ლახჳრითა გვერდასა სობილი.
და მკჳდრეთით აღმდგარი საუდართა, მარჯვენით ღჳთისა
ჯდომილი.
ილოცვს იტყვის გულმდუღრად, მტირალი ცრემლთა მფრქვეველი
ღმერთო მამათა ჩუჱნთაო, ვინ დანთქი ამორეველი,
განმამლიერე უძური, ვიქმნე შენს მტერთა მძლეველი,
მომეც მოთმენა ტანჯჳათა, უკლები მოუღლეველი,

იტყვის ჰე ღმერთო მაღალო, უსაზღროვ მიუწდომელო,
საკვირველებით საცნობო, ხნჳად ვერას მისახდომელო,
ზე ხამყაროსა საყდართა, გარ შეუწერლად მჯდომელო,
და ყოველგან მყოფო ყოვლთ მხედო, შენ თჳთონ განუცდომელო

მომეც მოთმენა უმღურსა, დედასა დანაბერებსა,
ვის მექადიან შეთხევას, მე ცეცხლსა დანაბერებსა,
ხორცთა საწვავს სულთათჳს, ეშმაკთა მოსაგერებსა,
და დამამოყვასე ანგელოსთ, დამხსენ მას ჩემსა მტერებსა.

აწ გავედრები იესო, მომცე სიმხნე და ძალია,
ვინ ჩუენთჳს მოკუდი უკუდავი, აღხოცე ძველი ბრალია,
რაგდენ შევიძლო მეც შენი, გარდავიხადო ვალია,
და მედ ღუთისად გწამო უარ ვჰყო, მათი უსჯენ ალია.

თუ არს ჩემ შორის სოფლისა, ბრძვილი და ბიწიერება,
მომძარცვე გამომახურვე, ვით ოქროს მიწიერება,
გარდმახალოსე განმწმინდე, იხმარე ღმობიერება,
და ვითარცა კაცსა შემინდე, ეშმაკთა მომცბიერება.

გულავ ამას გვედრებ უფალო, მაღალალო ზესთა ზეოდა,
ჰერ კახთა მეფედ მჯდომელი, თემურაზ ჩემი მეოდა,
დაიცევ იგი ქუეყნითურთ, იქმნეს მტერთაზე მძლეოდა,
და ადიდოს შენი სახელი, ანათოს ვითა მზეოდა.

წმიდათა საიდუმლოთა, განკრძალვით ზიარებულსა,
ზე აქუნდა გული უზადო, გონება განცვიფრებულსა,
ხედვითა მისთჳს მოხარულთ, ანგელოსთ ძალთა კრებულსა,
და ესწრაფებოდა მუნ მისვლა, სიცოცხლე გამწარებულსა.

გჳლავ შეემთხვია ხატებსა, იგ ცხოველად დანახატები,
დასთხივა ცრემლი ოფლითურთ, ღვაწლისა მოსამატები,
დააგდო ნოხთვარ ფარდაგი, დორი, სუზანი, სნატები,
და ადგა თამამად იწვოა, მან მისი ჯაშარატები,

რა ილოცა დაჯდა იგი, ვითა ხმალი მოსაკმაზად,
უბრძანებდა მოვიდნენო, გულ უშიშრად წყნარი ნაზად,
შემოვიდნენ მცარვალთ დასნი, შეკრთეს ნახეს სათავაზად,
და ვერ შემართეს დიდს ხანს ადგნენ, მიწვეულნი სადარბაზად.

თავს ადგნენ მისნი მსლებელნი, გულმდუღრად მონატირები,
მუხლთ ესვეოდნენ ეაჯდნენ, მიწად დაედვათ პირები,
შეგვიწყალეო ეტყოდნენ, უცხოს ქვეყანას მწირები,
და გარდასცემდიან მოსთქმიან, სიტყვები გასაკვირები,

მოსთქვემდენ ქართველთ მუშთარო, ჭერ გასთა ცისკრის მთიებო
მკრთოლვარევ მოკამკამებო, ლამაზად მოციმციმებო,
ბნელთა უკუნთა ღამეთა, განმდევნო განმადლიებო,
და შუქთა მომფენო ორთავე, ხამეფოდ განმაბზიებო.

ჩუენ ვით ვიძლოთ გმელთა მზეო, ქება შენი მოსათხრობლად,
ვინ გარეგნობამ განგამზადნა, დედოფლად და ქვეყნის მპყრობელად,
ბანოვანთა სათავადად, მეფეთ ტახტთა შესამკობლად,
და ნუ განსწირავ თავსა კარგსა, ნუ მოგვიკლევ ჩუენ საყმობლად.

ვის არად გიჩნდის სოფლისა, დიდება მორჭმა ქონება,
მეფიობა ტახტს ჯდომა, სეფე წულთ ყმობა მონება,
დროშა ლაშქარი სარანგნი, მანდატურთ მღოლა რონება,
და ზეცის სასძლოს ისწრაფდი, მუნ გქონდა გული გონება.

ვინ აშენებდი ამხობდი, ტაძარსა სახლსა ღუთისასა,
პატივს უყოფდი სამღუდელოთ, სძულობდი წარმართისასა,
უხილავ იყო ჰფარვიდი, ქველის საქმესა თჳსასა,
და ცხადად ჩნდა უნჯი დებული, შენგან სალაროს ცისასა,

ვისგან ნასხულა შვენება, ეზომის შემკობილობით,
ვითარიც შენ გაქუს უზადო, მნათობთა შესაცილობით,
თუალ ტანადობა სინაზე, ზარიფად მოხდენილობით,
და ნუ გაიცუდებ მით გკადრებთ, ერთგულნი შემოზრდილობით.

ჰტყოდნენ იგი გულ-წუდულნი, რა გაქუსო გასაჭირება,
დაჰყეო მაჰმადს ნუ ევლტი, ქრისტესგან განეწირები,
დღე მოწევნილა სამწუხარო, დამეს აქუს ჟამი მცირები,
და ახლოს არს შენთჳს ხაკუდავად, ლახვარი გასაგმირები.

აწ გევედრებით ყველანი, მონანი შენნი ქენებით,
[illegible] პატრონო, სწორ უპოვარო შვენებათ,
თავს ნუ მოიკლავ წამებით, ძნელის მოსათმენებით,
და ქრისტე უარ ჰყავ იწამე, მაჰმად მათებრივ ხსენებით.

მაგას ვით მნუკავთ სადუმნო, რჯული დავაგდო მეოდა,
მაჰმად ვიწამო ფელანბრად, არაბეთს მოზღაპრეოდა,
მართლის დამტერებელი, სიცრუის მოწამეოდა,
და მაცთუნებელი უცებთა, თავის ჟამი და დღეოდა.

ეტყვის ნუ გელმისთ საჭირდავად, ქრისტესთჳს ტანჯვა წამებით,
მსწრაფელ შემოკლდების სოფლისა, ჭირი და ლხინი ამებით,
სულის ნაცვლად რას გირგებთ, ჩუენ აქ სორცისა ჭამებით,
და თან წამომყევით წაგიყვან, მომეკიდენით მომებით.

მე აღვალ ცათა სუფევად. თქუენცა აღგიტან დიდებით,
თუ აქავ ხორცთა მოიწყავთ, ცეცხლით განიწმიდებით.
ჩემთან იქნებით სამოთხეს, ქრისტეს სძლად დაიწინდებით,
და თვარა მოსწყდებით მგმობარნი, ჯოჯოხეთს მიიზიდებით.

არ მიგდრიკონო ღვთისმაცა, ეტყოდა გაათვრთხილებდა,
მკნედ იყვენით რჯულთათჳს, სარკინლად ამასვილებდა,
შიშით დამბრალთა ხედვათა, გიათრლა აღუსილებდა,
და ქრისტეს საგმობლად დაყოლას, ეგონა აცილებდა.

მათ შიმუნვართა მუნავე, დაუწყეს დასხმა ხელისა,
შეიპყრეს შექნეს მოლება, რკინისა ჭურთა ცხელისა,
რა ნახეს შეკრთნენ შეზარდენ, მიწის ხორცთა მწველისა,
და დაჰყვნენ ახლისა რჯულისად, დამტევებელნი, ძველისა.

კჳლავ მიხვდათ რიგი მოჰხადეს, მათ უბედურთა ხუცებთა.
აწვევდნენ ცრუთა წამებას, ჭეშმარიტისა მღუცებთა,
დაჰყვნენ საგმობლად ქრისტესად, იგ ბელ მოკლენი უცებთა,
და ვერ იძლეს წამად მოთმენა, ტყავისა დასაბუცებთა.

შეუძახნა დედუფალმან, ხმა ძლიერად ვითა ლომმან,
სმღმრთოსმადლითგანხმობილმან,მისსულმოკლისგანრეზომმან
ტე ხუცესო ჰგავს მიგზიდა, ეშმაკის მოსანდომმან,
და რად დაგვიწყდა ჩუ̂ენთჳს რა ჰქმნა, უსაზღვრომან მიუწდომმან.

ძე მოავლინა მოვიდა, სოფლისა მაცხოვრებად,
ძველის რჯულისა დაცხრომად, ახლისა აღხაარებად,
ვნებად ჯუ̂არცმად და აღდგომად, ყოველთა გასახარებად,
და შენ რად მისდრკები ხუცესო, მაჰმადის შესაწყნარებად.

მათ უსახურთა მონათა, ეწადათ ახდა ტანისა,
სპეტაკთა უსპეტაკისა. ნარნარად მოტატანისა.
უთხრა არა ხამს განხილვა, დედათ გვართ დანატანისა,
და უმისოდ საჯეთ არა ვარ, დამყოვნებელი ხანისა.

პირველად ცეცხლი დააგზნეს, ჭურთათჳს სახურვებელად,
ბაბილოჳნურთა სახმილთებრ, საზარო საყურებელად,
მას შიგან შთადვეს რგინენი, საწვავად საწულულებელად,
და მიწისა ხორცთა შესაჭმად, სულისა საკურნებელად.

მიწად განართხეს გაუბეს, ზარიავნი ფერხნი ხელები,
ქვეშ გაუშალეს სალებად, ლურსმები განაცხელები,
საბნად დახურეს რგინენი, საწვავად განათხელები,
და მით დაამინეს ქეთევან, აგგანს ურწებდნენ მკჴლელები,

მერმე მიიღეს მუხრვალე, ცეცხლ მოტყინარე გაზები,
დასლიჩეს უცხო ძუძუნი, თეთრ გულსა მოლამაზები,
ცანთა დაავლეს შამფურნი, ზრო წელთა მოსანაზები,
და თავით ფერხამდის არ დაშთათ, მათ ფარგლით მოუხაზები,

რა აღარ დაშთათ რგინენი, საწვავად მოუხმარები,
აღიღეს იგი ახალი, მიწის სათხრელი ბარები,
ცეცხლში შეაწვეს ახურეს, ლაპლაპით შესაზარები,
და შუბლსა შემოსდვეს დამძიმდა, სული ხორც განსაყარები.

აღასხვნა თჳალნი შეჰვედრა, სული მას ვისთჳს იწოდა,
ხელთა შენთა არს სასჯელი. ვით არა მოვიწიწოდა,
მაგრამ მიოხებს რომელი, იგ დედად ღჳთისად იწოდა,
და გამიფართოებს წყალობით, თუ გზა მაქჳს შესაწროდა,

მერმე იტყოდნენ არისტო, რადგან კასეთის მპყრობელი,
ხამს მოუმიოთ დედოფალს, მეფეთა შესამკობელი,
ქჳაბი დაადგეს გჳრგჳნად, სიკვდილის მოსასწრობელი,
და თხემისა აღსახეთქელად, ტანჯვისა დასაცხრობელი.

კჳლავ წამოასხეს პორფირად. ცეცხლ მწველი მუსმარ ბასრები,
ხელთ მისცეს სკიპტრად შამბური, რით განაგეო სამზღვრები,
ზედ ხადგრად ტასტი დაუდგეს, დასვეს ხელ შეუგადრები,
და როგორ არ მოსწყდენ მტარვალნი. ღჳთის რისხვა მოხადარები

რა აღესრულა ნეტარი, ფიცხელის სატანჯველებით.
თხემით ტერფამდე მოწყლული, ხორცისა დასაწველებით,
ნახეს დიდება უფლისა, დამბრმალთა სახედველებით,
და განითქჳა ყოვლგან სახელი, დედუფლის საკვირველებით.

ცით მოივლინა იხილეს, ნათელი მაზედ მდგომელი,
მისგან ვინ ბრწყინავს ყოველგან, მზე სხივით დაუსდომელი,
მადიდებელი მოწამეთ, პატივის ცემის მდომელი,
და მამხილებელი უღმრთოთა, ქჳე მიწად დასავრდომელი.

შენა ხარ მადიდებელი, ყოველთ შენთა განმადიდებთა,
აღიყვან ცათა სუფევად, ტანჯულთ უზადოს წმინდებთა,
კჳლავ აქ ახილვებ სასწაულს, ინდელთ სპარსთა და მიდებთა,
და აპატიოსნებ ქეთევანს, განსთქჳამ კიდისა კიდეთა.

დიდება შენდა მაღალო, ქ͠ე სათაყვანო დიდადო,
ვის განებს ყოვლი სოფელ,ი თჳსადმი მოსაზიდადო,
ფრანგთა მოიყვან დასავლით მარტვილთ გვამთ მოსასყიდადო.
და ქართველთ მიჰმადლებ ნაწილთა, და მათ აწამებ წმინდადო,

საფლავს ახადეს ვერ ჰპოვეს, თქვეს ფრანგთა მოიპარესო,
ნუ გიკვირსთ მათგან წაღება, თუ თეთრიც მოისმარესო,
რადგან ხედვიდნენ ქრისტესთჳს, ტანჯვასა შესაზარესო.
და რომლის ტაგრუცით აღმოსდა, კეთილ ფშვა მისსა არესო.

ქვეყნად იდიდა ღვაწლითა, ზეცად აღვიდა ქებითა.
ვინ იგი იწყლა ყოვლითა, ნასსამთა ანაგებითა,
სისხლი დასთხივა, ქრისტესთჳს. ხორცი შეიწვა ნებითა,
და მოწამეთ გუნდთა შეერთო, უგ͠უდავთა მისაგებითა.

ცა განაკვირვა ქვეყანა, განაკრთო მისმან თმინამან,
პირად პირადმან პატიჟმან, უზომოდ წყლვამან ტკენამან,
ხორცთა ცეცხლითა შეწვამან, შავად სისხლისა დენამან,
და მაშინ დედუფლის სასჯელი, ვითარ გამოთქვას ენამან.

ვინ მოსთვლის მისთა პატიჟთა, ვიშ გახად სანეტაროსა,
ცეცხლისა ზღჳათა მცურავი, ელის უგ͠უდავთა ტაროსა,
ზეცისა ნავთ საყუდელად, მისვლასა წმინდთ სატაროსა,
და მოწამედ სახადგუროსა, დიდსა არ საპატაროსა,

სატრფოს ტრფიალსა მეტრფესა, სურვილის ცეცხლთა დებულსა,
წვა ლხინად მისჩანს მოყვრისთჳს, უწყალოს ტანჯვით ვნებულსა,
როდენლა მიხვდეს წადილსა, სიმწარით მოპოვნებულსა,
და ქეთევან დიდსა მოწამეს, ღვაწლითა განბრწყინვებულსა.

მას უწვავის ცეცხლითა, გული აქვს განასურები.
აღტყინებულა სურვილით, შორს მეოფი ვერა მეურები,
უხილავის ხედვისა, შესვლითა საღმრთო შურები,
და ისწრაფვის უკუდავებისა, წყაროსა მიმართ მწყურები.

სოფლისა ღელვით დანთქმული, შთასთა უპესა ზღვისასა,
სიმხნით ილვაწა განერა, ფესრგესა ვეშაპის ებისასა,
მიხვდა საჯილდოდ მეუდროსა, ნავთ საყუდელსა ცისასა,
და ვეშვ არ ინანდეს პატიჟთა, ხორცის ცეცხლით წვისასა.

ქეთევან დიდი სახელით, კვლავ საქმით უმეტესითა,
ზე აღხდა ცათა სუფევად, მოწამეთ ღჳაწლთა წესითა,
ხორცთა დაწვითა დაგვითა, სიმხნითა დაუკვნესითა.
და ვინ იყო ჩამომავლობით, ქართველთ მეფეთა სქესითა,

უმკნეს გამოჩნდა მამათა. დედათ ბუნებით ლბილია,
გარდაუტევა სინაზე, რაზომც ზარითად ზრდილია,
თავს იდვა ტანჯვა სასტიკი, მძლავრთაგან მონდომილია;
და აწ იდიდების იქების, ღჳაწლითა შემოსილია.

ქრისტიანსა ტანჯვით ზეცისა, დალიჩუთა იქმნა მკვდომელი,
სამეუფოთა მოსილი, ბრწყინვით თვალ შეუგდომელი,
ძლევის გვირგვინი დაიდგა, ნიშად ხედებოდა რომელი,
და აწ ჰგიეს ზეცისდა მეოხად, წინაშე ღმრთისა მდგომელი,

ქართველთა მეფეთ სქესისა, გახდა მფლობელს ესმლო ეგვარა,
დალიჩუთა მკვდომი დედოფლად, იტყოდა მინდა ეგ არა,
ირჩივა მარტვილთ შედგომა, ჴორცთ დაწვით მისცა ბეგარა,
და ქეთევან დიდმან ვინ სიმხნე, იმგრგვლივ მოივლო ეგარა.

მწარად დასჯილა მოწამე, სხჳა კიდე მისებრ წვალებით,
ვითარით სტანჯეს ნეტარი, ქენჯნითა დაუთჳალებით,
ძუძუთა ჰკვეჩდნენ ტანს სწვევდნენ, ჴორცთა უდნობდნენ
მჴალებით,
და გვირგვინს ადგმიდნენ სამეფოს, თკემს ჰკვეთქდნენ რკინა
რვალებით.

ქჳაბს გვირგვინად თავსა ადგნენ, ბარსა ჴილად ურჭმენ
ცხელსა,
საჴით ფულებენ მანიავად, შამფურს სკიპტრად მძლევნი ჴელსა,
მესმარ ბასრთა პორფირს ასხმენ, ჴაჭვს ზოსტერად არტყმენ
წელსა,
და ზედ სადგართა დალიჭუთა სმენ, დედოფალსა წერეთელსა.

იგ ვით სასძლო მწველთა რკინათ, კაზმით გაისამკაულებს.
კორცთა შემწვარ შენაგლეჯთა, ისაყურებს იფარდულებს,
სისხლთა ქუფრად აღმომხდართა, იძოწ ლალებს იპირგულებს,
და ვინ მოსთვალავს დედუფლისა, ქეთევანის სიმხნით ქმნულებს,

ოდეს რა ესრედ მოჰკაზმეს, მეფეთა სამკაულითა,
ოქროთა ნაცვლად რკინითა, მწველ მკურვალ მეწამულითა,
თვალ მარგალიტად ნაკვერცხალს, იურიდა სისარულითა,
და სძალი იწოდა ზეცისა, სიძისა სიყვარულითა,

მე მისთა ღჳაწლთა მოთხრობა, ვერ ვიძელ რაზომ მენება,
ვინ იწყო ქართველთ მეფეთა, გვართაგან აღმოცენება,
ეთჳსა თჳსსა ტომობით, კახთა უზავა შვენება,
და აწ ჰფარავს საქმრო სამშობლოს, წმინდის ნეტარის ხსენება,

ხამს წყნარად სადმე იგროდეს, დავითის ქნარი ებარი,
მანვე დამღეროს ჴმა ტკბილად, ქეთევანისა ქებანი,
რადგან ეკელყვის ორ კერძო, თჳს ტომად მოხსენებანი,
და სძლად და ასულად საკელ ჰსდვას, ვის უგავს მოთმინებანი.

ამად ჴელ ვჰყავ ნუ თუ მეცა, მეთქჳა რამე შესაფერად,
რა ვერ მივხვდი საწადელსა, მეცა მექმნა გულს სამვერად
მწადდა მყისვე დასახევლად, რადგან გარგობს ვერა ვერად,
და მაგრამ მითხრეს უჯერობა, დამაშვრალსა მისაწერად,

უხამს დაჯდეს ღირსი ვინმე, მისთა ღვაწლთა აღსაწერად.
მთა წმიდელი ან სინელი, პეტრიწი ჭყვეს კალმის მჭერად,
მოგლეს სიტყვით რეამჭევრონ, გრძელი ტანჯვა მრავალ ფერად,
და მათ მოგვითხრან შეხაზაროდ, ასასტიგონ გულს საგმერად.

---

ქეთევან ბატონის შჳლთან მინაწერი.

მეფის ასულო, ქველ გეთილ სულო, მგირ უფასულო ქეთევან
რქმულო,
ზნეობით სრულო, მწვე უნაკლულო, ქებით აღმკულო, სახელ
განთქმულო,
რტო დაგითულო, მის მტილსვე რგულო, ევფრატით რწყულო,
კოწლებ დასხმულო,
და მონარგიზულო, ჟერ არ დაზრულო, პირ მომანგულო სა-
დაფ განგმულო.

აწ ახლად თქმული წამება, ქეთევანისა დიდისა.
ქჳრჳნად ღჳაწლითა მზრწყინვისა, ცად ნათლით დაუბინდისა,
მოსახელისა შენისა, მის ნეტარისა წმიდისა,
და საშმობლო საქმრეულობით, ორ კერძო მისაზიდისა,

---

## ღ ა მ ი ს ა ლ ე რ ს ი მ ი ს ვ ე

დიმიტრი ბაგრატიონისაგან.

ეჰა ღამეო ჩემის გულისამებრ ბნელო, და დღისა შენდა ერთ მოყამისა მოშორვებით მოწყინებულო, ნუ თუ მზისა მზისა უნათლობა შეგშურდეს და მისსა სანიადაგოსა საზღვარსა დახდომა დეურვოდეს, რომლისაცა მითვარვით დისკოსა მონასხივებთა შარავანდედთა მცხინვარება დაშრტების, და შენისა მრუმობისა არეთა გედარეთა წყვდიადობა უკმო იერების უჩინოებისა საბურველი აღიხდების, ცაერთა უხილაობისა ფარდა აღიგვეცების და მათი ორანოსა ფორესა მშვენიერად მოსხმულობა წარმოსჩნდების, საწუთოსა შვებისა დარბაზი განათლდების, საწადილსა კარი გაიღების და შემავალთა განსაცხრომელი ჟამი მისჭდების მრავალ გვართა სამოებისა მოწევნითა, ლხინი განშირდების და შექცევა დაიაფდების, მალთა მწყობრობა განარბითდების, ამოდ ღიღინი განიმღერდების და უურთა დასატკბობელად მოისმების. ერადობა გაფრიადდების და მოყვსობა დაყუმუშდების, ჩქარიადი სვლა დაეენების და მალად სისწრაფე შეიმცირების, ყოველნი დღით მაშვრალნი

შენის. სიღამის სართულის ქუეშე შემოლტოლვილნი ნები-
სად განისვენებენ, და დამეურდოებულნი სიწყნარის ნელიადო-
ბასა მიეცემიან, განბნეულის გონებისა შემოკრებასა ლამიან,
და შორად მიტაცებულის თუალთა ხედვასა შეიმოკლებენ,
მწუხრი დილის ულამაზესად დაშვენდების და ორიონის გზა-
სა მოტყუინარესა აღმოსვლით გამეწამებულსა აღემატების,
ფეროვნება უსადარო და უტურფესად მოკეკლუცებული გერმო-
დასავლეთისა, ყვითლად შენაწილდები, შერწმით შენახშირება
და ირისებრ შეჭრელებული, არაბულის მხარულებით მკარ
ასვეული და მექთა მოკლებისა მახარობელად მოსწრაფებული,
სალამოსა სამოებათა მომთხრობელი, შერიყრაყებისა ჟამთა
მომასწავებელი და სერობისა წესთა დამაწყებინებელი, გალთა
დაშვებით დაზიდული, დღისა ნაშუსთა დამფარველი და მისთა
სახყამიადოთა აუგთა. შემნაწყველი, მოვალს ქუემორებით მონარ-
ნარე მკარ ჯამლით განაგიდარი, ნათელი დაუბინდარი და მოვე-
ფანიერების იელ ტიელთა მის სატრიელთა მარაგთა დრუბელ-
თა ბორიესგან დაწვეტით დანატაცართა და ამალათად მონა-
ქონართა, უგვანად რადმე მანრდილებელთა და ხედვა მაცილე-
ბელთა მათ თუალთა საამოებისა ფეროვნებათა. შენდა უვრცე-
ლესად გარდათხმულსა და კიდის კიდეთა დაკარვებულსა ცასა,
დაუკარდად გარდაფენილსა და ბუზეგად დაფონებულსა, სადა

იგი დღისა მფლობელისა და ქვეყანისა მანათობელისა შეღ-
დართაგან კრთოლვა კლებულნი და ციმციმ გაცუდებულნი ვარ-
სკჳლავნი. სამყაროსა სამკაულად ქმნულები, შვენება მოძარცუ-
ლები და მიფანტულ მოფანტულები. აწ აქა და იქ, შორს და
ახლოს პატა პაწობით ძვილდა მობზინავნი, მოციალები
მობრწყინდებიან და ცისა სფეროსა მოკამკამობენ, ფერ ოქრო
სირად. ლამაზ სამზირად მოსხმულნი და გარე ზოსტერა
მორტყმულნი ცთომილნი და უცთომელნი, ზოგნი უძრავა
დამყარებულნი და ზოგნი ქვეყნის ბრუნვით მოარულნი, ერთ
ერთის მოჴუფთე მოკამათენი, მის კელისათა მმართენი
მადარე მაავდარენი, სხჳანი კვიმატად სასჯელ დებულნი და რაი
სამე მომასწავებელნი, მისთა მეცნეთა სჯულის კმონი, კვლა
კიდე სხჳანი ჭაერთა მოძრავნი მოტატანეე, ცეცხლებრ მოე
ვარენი, ფიცხლად მარენი მოსლტუჩრენი, კუდთა მქნეველნ
და მალ გამლეველნი, თჳთო გჳარ სასჯელ მოსასხილავნი, და
მკმილავნი და დღე უფრთხილავნი, ესე მრავალ თჳალნი და
თჳალნი და უამავარნი, ციერნი, ზოგნი მცბიერნი, თჳალ
საამონი და გულთა სალხინონი, შემხედველთა შემოქმედ
მაცნონი და უცნოთა მამხილებელნი, უსაზომონი და უსწორ
ნი, ზოდიანი მზისა მისალოდიანი და მთიებნი, ცათა მგიე
და ქვეყანათა მასარგიებნი, ბევრნი ბევრთანი მსგავსნი ზევსთა

და კონდითა მავნეთანი, სხჳანი ფილაგად კომად, ჭურჭლად სანდომად შემოურილნი, მაშინ მათგან თამამად საცელქო საფაცფაცია ლომთა და საამოდ საციალოთა უმსისვნოს ორანოსა სივრცეთა, და ელიან ღამისა მანათობელსა და მათდა ღამაზად დამამშვენებელსა მთოჳარისა მოსვლასა, ვინა იგი აღმოსდების ახლითა მოვანებითა ალვსილი ნათლითა მოვანებითა ბნელთა ხამთავროთა უფლებად და ზღჳათა და ჴმელთა მფლობელად, ხედვისა მატებად და გზათა წარსამართებად, ვინიცა მირბადრობა მომანდარულთა ბაგთა შეცვეველად გარე მუქთა აფინებს, ქვეყანასა ანათებს და მას შინა მეოფთა სიცხით მომწუდართა აგრილებს ნოტიებისა მონაქონარ ითა მოხიებითა, და აწადებს გამოცდელთა მანიშატებელი, სევდიანთა უგუმურელი და გაემანთა მაქარვებელი. ეს გვარისა ჴაერ შეზავებულისა და კეთილ ჟამიერისა ღამისა გაგაჩისა გაუთენებლობასა, სადა იგი ხიამით ძილ მკრთალნი და თჳალ ურულავნი, ქალაქთა და დაბა სოფლებთა მოსასხდენი, ქალნი და ყმანი, მკცოვანნი და მკცოვანანი, დედა წულით გამოსულნი ხამეოფთაგან, სხენან ზოგნი კორდთა მწვანვილოვანთა, ზოგნი ველთა მდელოთა სხჳანი მუკათა ფოლორცთა, დას დასად და უბანუბნად შენაკუგუფარნი და თჳს თჳსად მოუბარნი, დედანი ხან გარდასრულნი და მამანი მონახულნი, იტყჳან ძველთა ანბავთა რომელი

რომლის დროსა და მეფობასა შესწრებიან და რაიცა ჳნახავს და ახსოვან, მიუთხრობენ ერთი ერთსა, ავთა მმართეთა ავადრე მახსენებელნი და კარგთა გამგეთა კეთილად მომგონებელნი, მოსაუბრობენ მათსა სრა სასხლთა და პალატთა მდიდრად შენე-ბულებასა ზედის ზედად დგმულობასა, შინ და გარე მორთუ-ლობასა, ოქრო ქანდად ცურვებასა. კედელ ყურეთა მკობასა, სართვარდათა ოქსინებასა, ნოხ ფარდაგთა გებასა. დორ სნატებ-თა დებასა, სუფეთაგან სხდომასა და ბჭობასა, მერმე დალიჭთა დგომასა და მეფეთაგან ზეიმით ვლომასა და ქვეყანისა გადება-სა. მსჯავრსა და სასჯელსა. მათისა კარისა დიდებასა, ჩინებულთა არმანგობასა, მნეთა სსჳა და სხჳაობასა, მანდატურთა კელ არ-გნოსობასა, სარანგთა სიმრავლესა, ლაშქართა სიდიდესა, სპა-სპეტთა კეთილ მღვანებასა, მკედართა სიმკნესა და გულოვნო-ბასა, მერმე იტევიან დარბაზისა ერთა წვევასა და ბანოვანთა მისლსა, მათგან შესაგვანის უოფა ქცევით მისვლასა და დედო-ფალთა თაყვანებასა, ზრდილობით თავაზიანობასა, ზნეობის გამოჩენასა, ნადიმთა ზედასმასა და შაირსა, ლაღობასა და ხუმ-რობასა, გალობისა სამუნასიბოთა, და მომღერალთაგან კმა ტკბილად სასიობასა, მროკვლთაგან ცეკვა ბუქნა ბასტობასა, რიგზედ თავის მსმელობასა, თასთა გარდაგდებასა და ერთი მეორის დალევასა, წინ დაჩოქვით სმასა და მოაზარევშებასა,

მერმე შეღხინებულთა მათ გაცელქებასა და ბანოვანთა გარდა-წევასა და გარდაკიდომასა, მეჯლისსა და ერთა ჭამასა, მეფეთაგან მხიარულებასა, გაცემასა და უხვად ნიჭებასა, ზარხა, და ესე გვართა ლხინთა და ჭირთა მაგთან ნახულთა ძველთა ქართველთა წესთა და ჩვეულებათა მოსაუბრობენ, კუალად იტყვიან, ბრძანებდიანო, ცხენთა მალთა მდიდრად აკაზმასა, და ხამეედნოთ ამკედრებასა, კარგ სადაგეთა ჯინიბთა გასხმასა, და მეფეთა და მთავართაგან გასვლასა ველსა სასეიფურსა და მუნ ასპარეზობასა. საშუალ მოედნისა მაღლის ძელის დგომასა, ზე ოქროს ვაშლის სმასა, და რჩეულთა მშვილდოსნათაგან ცხენ ფიცხად გავლასა, ძირ მოდმა ისრის სროლასა, ოქროს ვაშლის ჩამოგდებასა და თჳსად მიღებასა, ამით შექცეულთაგან მერმე ცხენ რბევით ბურთაობასა და ქუდ გარდახრით გარდაზეულთა კელ მარჯვედ ჩოგნის ცემასა და აღრაზაგანის ამოგვრასა, ერთი მეორის გერძოთაგან მიტაცებასა, ბურთისა და მოედნით გარე გატანასა, მუნ იქით და აქათ მაყურთა დგომასა, და მაზედ ნაქსოვთა კიდებასა, მძლეველთაგან მიტევებასა და მის ლარისა ჭრასა და სევასა, ნიშნად ჯობნისა და ლაღობასა შექცევისად. კულავ ოროლით მღერსა, მეგდუცთაგან მზერასა და სატრფოთა გულთა ძგერასა და მრავალ გვარად ბუნათა ბრიალსა და მკართა ზედან ტრიალსა და ხლტუნებასა გამალებულთა

ტაიჭთა ზედან. და რაინდობისა წარმოჩინება, მერმე ჭოლოკ-
თა სრევასა სპარსთა ენით ჯირითსა, მიღმა და მოღმა ფორე-
სა მას ჩინებულთა ჩაუქსა ჭაბუკთა დგომასა, ერთი ერთისა
ლაღობით გაჯიფთებასა, ცხენთა გახლტუნებასა და ოთხ ასხმით
მონავარდებასა, კჳლავ ერთი მეორის გაქცევ გაკიდებასა, მო-
რით ჭოლოკთა სროლასა, უნაგირის ტახტათა მოხვედრებასა
და ზედ მჯდომისა უვნებელობასა, სხჳაგან აშფაშაქობასა და
მოისართაგან საგნის სროლასა, თჳალთა სისწორისა და გელ-
თა სიმარჯვისა გამოჩენასა, და მრავალ გვარად სეფურობასა,
ამით და ესრეთ მოსპარებებულთაგან მხიარულად შემოქცევასა
და ახალ ყმა კაცთაგან ერთი მეორის მოყვასთა განად მისვლასა
და მუნ მორინობასა, ნარდითა და ჭანდრაკით მღერასა და ბანქოს
თამაშობასა, მერმე სერობის ტაბლათა მიღებასა, სანოვაგეთა
სიმრავლესა. სასმელთა სიუხვესა და გაჯიფთებით სმასა, საკ-
რავითა და სიმღერით ლხინსა და შექცევასა და ღამისა მის გან-
ცხრომით გათენებასა, და დღე მათდავე თანამდობისა შედგო-
მათა და იტყვიან, ამას რა იქმოდიანო, არა ყოველთჳს, ოდენ
საუფლოთა დღეთა, და ესეცა სადიდებელად ღ̃თისა დღესასწა-
ულობდიან, განსაგებელისაგან მოცალებულნი და საქმეთაგან
თავის უფალნი გა'მხიარულდიან, და უმისოდ იტყვიან, და მც-
კიცენი სარწმუნოებითა, მოტყინარენი ღ̃თის სიყვარულითა

და მოყუას თა ერთობითა, ეკლესიათა შენებითა და შეწირვითა, მარად ლოცვითა და მარხვითა, და სხჳთა და სხჳთა პირად პი-რადითა სათნოებით ჰყვაოდიან, კეთილთა ნაყოფთა ისხმდიან და მხიარულებით ისთვლიდიან, კჳლავ მეფეთა ერთგულებით და თავთა დადებით იქებთდიან, მოყვრობითა და ნათესაობით იშვირ ლსინებდიან, მათდა საკადრად მამულის მჳლობდიან და ქვეყანის შემატებას ცდილობდიან, სახელს იხვეჭდიან და იდიდებოდიან და ყოვლითურთ კეთილ ქველობდიან, და ესე გვარითა საწუთო-სა რიგიანად გლის ყრითა, ზენაისა სოფლისა შვებასა იუნ-ჯებდიან, და საუკუნოსა განსაცხრომელსა მიემთხვეოდიან. კჳ-ლავ წარვიდიან სანადიროდ და გაიტანიან ბაზიერთა ბაზნი მრავალ გვარნი, შავარდენთა, ქორთა და მიმინოთანი, მართ ეგრევე მეძაღლეთა, მწევარნი, მეძებარნი და მეყეფარნი, და ხადა-რაი ესმაროდისთ მით მოინადირებდიან. ლიგლიგად მხლტო-მელთა ჯერანთა, შველთა და კურგელთა, მეისვე გაისრევდიან და ირემთა, ტახთა და თხათა გასიათევდიან, და მგელთა მრავალ გვართა სდევნიდიან და ძნიად განერიდიან, მერმე მოჰყოლბიან ტევრნი და შეუშვიან მრეკელნი და მოიცვიან მეჯელგეთა გარე-მონი. თჳთ დაუსხდიან გართა სახუნდრისათა, ესროდიან თო-ფთა, და ჰხოცდიან ნადირთა მათზედ მისრულთა, და მოართმევ-დიან მეფეთა თავსა ნადირისასა და იგიცა წესებულ იყვის,

ვისიცა ნასროლი შუბლთა მოხდომოდის ნადირთა და არა ნაწყავართა, მათგან მოკლულნი იქებოდიან და თავთა იწონებდიან, და იყვის მოამხანაგეთაგან ცილება ჯობნისა, შექცევა და ხუმრობა მარჯვედ სროლასა ზედან, და ესრედ მონადირებულნი შემოიქციან სახლად თჳსად, ნადირითა და ფრინველითა დატვირთულნი მხიარულებით, გჳლავცა ტყითა და მინდვრით შექცეულთა მათ, მოინებიან მდინარითაცა უგუურს და წყლისა გიდპირეთა მორება და მოსალიკება და ლხინთა გამეორება, თევზთა მონადირებით, მისრულნი სხჳთა და სხჳთა სოლას ბადითა და სათხეველ მასითა, ზოგნი ნევს გავითა საცთუნოს დასაზაფითა, ბევრნი ფაცერ კოდითა და ოჩხთა ჩაყრილოდითა, მერმე წყალთა დასაგლვითა და მდინარეთა დაშრობ დაწყვეცითა მოამებულნი და მრავლად შემპყრობელნი, მუნვე აგბობენ და ზოგნი ამწრობენ, და ჭასმით დაგებულნი სმენ ღვინოსა სალხინოსა და დანაშთომთა მათ უთჳალავთა გოდორ წნულთა კალათათა ჭურიან და აგსებენ ჯურეთცა ბოლო ფრთიით მოფერთხალეთა თევზთა ბევრ გვართა და გემოვანთა, მიეზიდებიან საკიდრითა მრავლითა,

მასცა იტყვიან, თუ სად მტერი აღუჩნდესთო, აწვივის მეფემან ლაშქარი, მიუწერის ბძანება სპასპეტთა და მთავართა მა-ადგილისათა, ჩინებისამებრ მათისა პატივით, რომელთამ

დარბაზს ბატონობით და სხჳთ, და რომელთამე ჩჩჳლნი ბძანებაასო
როსელმც მხედრობითა მათითა მოიწივნენ დაუყოვნებელად
ჰაემანთა, სადაცა უბრძანებდიან, და ოდესრა მორევდიან ქვემო-
ნი და ზემონი იგი ლომნი ჭაბუკნი და შემოკრბიან, ნახიან
ალლუმი და აღრიცხიან მწიგნობართა რაოდენ იყვნიან მკვირ-
ცხლნი და ცხენოსანნი, მოისარნი და მეთოფენი, შუბოსანი და
მედაშნენი, რომელთაცა ვერა დაუწუნებდი საჭურჭელთა მოწ-
ყობასა, ჯაჭვთა იალმაგად ცმასა და ზოგთა ტიელად მოელ-
ვარებასა, მუზარადთა ხურვასა და ზუჩთა მოჩინმკასა და მასთან
დარაკა გელდნა ავიანობასა, ცხენთა მათთა სიფიცხესა და სუბუქად
აკაზმულობასა, და რა ეგეთისთ მათი ეგრე სპარაზენად მოი-
არალება, მაშინ ბრძანიან და გაშალიან დროშა გორგ ახლანი,
ბედნიერი სვიანი, და გაიმძღჳანიან მტვირთველი ჯჳარისა და
წინამძღჳარი გარისა ეპისკოპოსითურთ და, გაემართიან სახელო-
სახელითა ღჳთისითა, ლაშქარ მრავალნი, და გულ უშიშრად
მავალნი, ამოდ ვლიდიან საზღჳართა თჳსთა გარეგე სევნებითა
და სათვენ საგებლითა, საგძლით სავსენი და ნუზლით მოკლე-
ბულნი ლხინობდიან და ნადიმ ნადირობდიან. საგრობდიან და
მგზავრობდიან. დაიბანაკდიან და აიკარვიან, გააყენიან ტალად
მკნენი და გამოცდილნი კაცნი მამაცნი‘ და რა ნახიან დარაჯათა
მათ მტერნი ახლორე წარმომართებულნი, აცნობიან ლაშქართა

ჩუენთა, ესე ცქაფად დაეკაზმიან და უკუვნებელად გავიდიან ბანაკით წესისამებრ, ჯერეთ მეწინავეთა სპასპეტი და გაიტანის მისნი ჴელისანი. მერმე მემარჯვენენი და მემარცხენენი მათითა სადროშითა, და ბოლოს თჳთ მეფე სპითა თჳსითა და მმართუბელითა მათითა, და თუ ვინ უფლის წულნი მათ ლაშქართა შინა იყვნიან, მისთა დროშათა მივიდიან, ვისდამიცა სპასპეტთა ჰქონდიან საუფლის წულონი, კიდე მემკვიდრისა ძისა პირმშოსა, და დადგიან ჴელსა სამესისხლოსა მარიხისასა, იმიერ და საშუალ მათსა მეფე რაზმად წყობილნი, და ჩამოიყვნიან უკანით კერძო ჩასთულნი, და ოდეს გაეწყვნიან საომრად და პირის პირუბულნი, მოუწოდიან სამღჳდელოთა წესთა, იხადიან პარაკლისი თჳსად წილხდომილისა დედისა მაცხოვრისა ჩუენისად, აკურთხიან წყალი და ასხურიან მხედრობათა, და ეტყოდიან სიტყუათა განსამკნეველთა რჯულისა და ქუეყნისათჳს თავთა დადებისა, და რომელნიმე წმიდათა საიდუმლოთაცა ღირს იქმნებოდიან, და ესრედ განმზადებულთა საომრად აუტეხიან ბრძოლასა. და გამოიბეზღიან მეწინავეთა მათ მტერნი, და შეიქმნის თოფთა ცემა და კომლთა დენა, ჴმალთა ელვარება და შუბთა ზანზარება, ისართა ტყორცა და შერწყმა შეკორცა, აქ დაკოდვა და მუნ ჩამოგდება, დაფითვა და გასაპუარება, ვიდრემდისცა ბრძოლა გაფიცხდებოდის, და ოდეს რა განძლიერდის ომი და

გახშირდის კოცა ორგულთა, შეისვე აისწრაფიან და მიეიდიან მემარჯვენენი და მემარცხენენიცა სპასპეტნი და მეფე მათი, ზოგად და ზოგად მწყობრითა მათითა, და ეკვეთიან გულ უშიშრად რაზმთა სხჳათა და სხჳათა, გადიადდის ომი და გაგრძელდის ბრძოლა, და ოდეს მე განძნელდისცა ძლევა სიმრავლითა მტერთათა, და მოსწყდიან ორნივე მეპირის პირენი ერთი ერთისა გამკლავებულნი, რომელთაგან სიკვდილის მოციქულად შორით ტყვია და ისარი აღარ რბოდიან და ახლოს სულთა მკუთავად ანადსა კმალსა და შუბს ატარებდიან, და სარწელთა მით გარდასწყვეტდიან, ვისგანთაცა აღვიდის მტვერი ჭაერთადმე და დაბნელის ქვეყანა მკდგრად მიმართებულთა და სახტიკად შენატევებთა ცხენ კაეთა ნატერფალთაგან, გარნა განანათლის ცაი საჭურველთა მათთა ელვარებამან, რომელთა შორის კისკისად ხლტოდიან და მამაცად ჰბრძოდიან, სარკენლად სწვდებოდიან, და ქჳს აკვეთებდიან, წყლვასა და ღმობას ახშირებდიან, და ვალალებას ამრავლებდიან, და დაუშრომელად ილვწიდიან ძლევასა მტერთასა, და თუ სადა ნახის მეფემან მათმან უძლიერესად დასხმა თჳსთა ზედა, მუნ მიისწრაფის და მისვლითა თჳსითა განამხნის მხედრობანი, და განაძლიერის სიტყვითა მამაცებრითა, მიუძღვის და მისცის სახე უშიშოებოსა და ლომებრ მიმართებისა, და რა ნახიან ჰპატრონი მათი თავ

დაუზოგად მისრული, გალანამცა უფროს გაფიცხდიან და განმძლიერებულთა მათ აღიმაღლიან კმაჲ იბერიული და მძლევათა ჩვეული, ერთობით მიეკვეთნიან, რაზმი დალეწიან, მწყობრნი გააფანჩვიან, და მკჳდართა ზედა გარდიარიან, ცოცხალნი აოტიან, და დევნა უყვიან, აჯაათა მთხოველნი დაინარჩუნიან, შეიპყრიან და მკარ დაკრულნი მეფის წინ მოიყვანიან და ჯილდო მიიღიან, კჳლავ თუ ახლორე ციხე და ქალაქი შესვდესთ მტერთანი. მათცა მამაცად მიუხდიან, გარე მოერტყიან. მოპანტეზიან და მკვირცხლად წყობილნი ფიცხლად მიეტევნიან და ზღუდეთა ანასდად გარდუსლტიან, მებრძოლნი მოსრიან, ქალაქი მოიცვიან, მოსტყუვენდიან და მოიავარებდიან, და ნატყუჳენავითა მით მოვიდიან მძლეველნი, და მესუთეთა ნაალაფევთა საღმრთოდ შესწირვიდიან და მეფეთა მიართმიდიან, და თუ მას ომსა შინა დააკლდებოდისთ ვინ ჩინებულთაგანი მოიღიან გვამი მომკჳდრისა მის სახლსა მისსა და დამარხიან შესაგვანითა პატივითა სამარხოსა მამა პაპათასა, წარუგზავნიან მეფეთა და მთავართა ლარი ძვირფასი გარდასასხურად, და მიუტირიან ცოლსა და შვილთა. ზარითა კმითა საზრუნავითა, შოშრობითა და კოკოცებითა ორმეოცთა დღეთა, გაშალიან ნიშანი სამოსი ტანისა და საჭურველი მისი. დააყენიან ცხენი უკუღმად აკაზმული შესვენებულისა მის და გოდებდიან შესხმა მკობითა,

და მოთქმა გარდაცემითა. და იგლოვდიან წელსა ერთსა მამა შავითა, მერმე უბოძიან მეფეთა გამოსაცვლელი შავისა, და გა-მოიყვანიან მგლოვიარე იგი შვილი იყვის თუ ძმა მომკუდრი-სა მის, და მიუბოძიან ქილდოდ მამისა ნამსახურობისად ხა-რისხი და სახელო მისი, ანუ დაბა და სოფელი, რომელთა ესეცა ეწესნეს, მიართვიან მუნებურსა კათოლიკოს პატრიარხსა ნიშანი მომკუდრისა მის, ცხენი მდიდრად აკაზმული, ანუ ნი-ვთი რაიმე ძვირ ფასი მოსახსენებლად შესვენებულისა, და იყ-ვის კჳალადვე შვება და განცხრომა ყოველთა ივერიელთაგანო ესე გვარით მოლაპარაკობენ მოხუცნი მოსაწვლეთათანა, რომელმც უწყოდიან მამულთა თჳსთა წესი ჩჳეულებათა და რიგი ყოფა ქცევათა.

სხჳსაგან სხჳსანი სხედან, და თუ ვის მათგანსა საყჳარლისა მშვილდით მონაზიდარი' გულს განსწონებია, და მისგან უწ-ყალოდ დანაწყლულებსა დუბედსა ხალბული საბუნი დასმგო-რებიან და ლმობა გახშირებია, დღე საშორით მტირალსა, ღამე ცრემლთა შესაშრობელისა ჟამისათჳს მოკმართჳს მოუ-შურებია, და მათ გამო საყვარლისა სახლე მოუწადებია, ნუ თუ შემართა ზრახვით, შეიმსუბუქნეს ტკივილი იგი უსოიშნო სუდთქმით დანახშირებია, გარნა მას გლახ, მუნ უფროორე ემა-ტების წყლული წყლულსა. უჭვრეტს ჰაერსა, ითმენს ჭირსა,

ელაპარაკების და უსიტყუოსა თვალითა ეალერსების და უცნოსა გულითა, უნებს რაი მისდა სათქმელად და არა უწყის ვით იწყოს, სიტყუა აფიწყდების, ენა ებრკმის და ჭაზრი ეკარგების და თუ თქჳსრა მასცა ეშიშვის სატრფოსა საგულისკმოსა და აშიკთა გამოსახმოსა, და ესრეთსა იჭვსა შინა გონება მიტაცებული შინჯავს დანაშთომითა ცნობითა მისა მაშმაგებელისა სახისა მშვენიერად ნასხამობასა და სანდომით მიმაგნიტებულისა ძირისა სიწებასა, ვისიცა ადრიდგანვე გულისა ფიქალსა ცოცხლად გამოჭხატვიან და ვითა კეკლუცთა იროილა სათაყვანოდ შეჭქმიან და ხაზორავად გაჭკეთებიან, ამას იგონებს და იტყვის თჳსად, ვამეო, ჩემო მტანჯჭელო დამეო. ამისთჳს ბნედა ხელობა ვინ უნდა დამიწუნოსა, აჭა ვითარ თავსა ამაყსა მიჯნურთა მოთავილესა, თხემსა თმანი ტოილებად დანათხზავნი და წინამონი უკაზმავად დანაგრუზნი ზოგი სათისა უშავესად თეთრსა ყელსა შეხვევიან, და ზოგნი ნარდიონად მოფშველნი მხართა ზედა გარდაუყრიან და იგიცა საყვარლისა ხაშთობელად, შუბლსა ნათლად მოშუქარესა, ჩემისა გონებისა საცნობელნი დაუბნელებიან, და მაზედ მშვილდად გარდათხმულსა წარბსა, წამწმისა წამად მომკვლელი ისარი დაუკიპავს, და მისთჳს განსაგნულს გულს ესვრიან, თვალთა გიშრისა ნავთა ნარგიზად მხდომელთა ხედვა მიუტაცნია და შავთა ზღჳა თა

დასანთქმელად მიჰქონან, ლაწვთა ძოწელისა აფრა აუბამსთ, ინდი ხალად დაუსვავსთ. და მღელვარებით მეწამულობენ. ბევ მაწავთა განამობათა, იგი არე გაუსუნნელდებიათ, ცსვირსა მოხდომით მოფუჩვნილსა, სათობა უთვალწუნებია, და უზადოთა პინჩთაგან მგუდრად მისდილთ სულს უბრუნებენ, ბაგე ზარზამბოთა ფეროვნებასა, ლალთა წულიანობა დაუქლდიან, და პაწად პობილნი კიდო კიდურნი გაუბალახშებიათ და მუნით გამომჭვირვალთა სპეტაკ გასაკვირვალთა, კბილთა ძოწისა ბუდეთა მარგალიტად მსხდომელთა, ბარაინელთა სადაფთა კარკანონი დაუქუფრებიან, ლაბაბ ყელ ყურთა, ვეცხლებრ ჩალხულთა, ნატიფად მოფაცფაციალობათა ცნობით გამოუყვანიავარ, გულსა და მკერდსა ბროლისა ველსა, დრუილნი დაჰკოკბებიან და ცნობადისა სასედ აღსოჰსჩენიან, ტანსა ზარიფად ანაზუებულსა კერან გვიპაროსს აღბამებულსა, კელ მკლავთა მოძრაობით, ალვისა შტოთა ზანანობა დაუნასებიან, ზრო წელიხა უსულობით, ლელწამთა ლელობა გაუწბილებიან, და ესრედ თხემით ტერფამდე აღმკობით ცუდ მაშვრალი და ეშუით მთვრალი, საგონებელს მისცემია რაი იღონის ძიოს, ღამე სიახლით მწველმან და დღე სიშორით მზრობელმან და წულუთა ორჯელვე მტკიებმან.

ბჭლავ სხჳაგან სხჳანი, ახლად შერთულნი შეუღლებულნი

და საღმრთოს მადლით შეაჭურვებულნი ქალ ყმანი, ვითა გვრიტნი მისაჭვრეტნი და მისაბაძავნი, სიწმინდისა მასწავლებელნი და კეთილ ცხოვრებით საწამებელნი, სიყვარულისა ლითონნი და მეუღლეობისა სამაგალითონი, მათნი თჳთო თჳთონი, გაკიდე გაცალკებულნი, მიღმარებულნი, და სისხლით მოლხინებულნი, ზოგნი სხედან და მეფერცხლეთა მუხლნი სასთუნალად გაუკეთებიან და ნებიერად უბე კალთათა წამოსწოლიან, და იგი მისი მესათუთე ნაზად ლამაზის თითებით აფუტკვნილთა ვარჯთა უსწორებს და ლალთა უფერადესითა ბაგე ზარხამბოით ეკონების და სუნბულისა ფშჳათა იყნოსებს და მისსა შენაწირებსა სულსა იბრუნებს უზადოსა ლალიცითა, ზოგნი მათგანი, უმანკოთა ტრედთა მგვანი, უსურვაზად წელთა შემოხვევიან და პირი სურვილისა სალაროსა ზარდახშათა გულთა მიუტანიან, და სიყვარულისა უძვირ ფასესნი სპეკალნი აღმოაქვნ, სხჳანი ზარიფსა ტანსა შესტოლებიან, კელი მკართა გარდუდვია და ბაგე ტუჩთა შეუწებიან და მანანისა უტკბოსად დაგემებულნი, ბულისა გასაგმირალითა საუბრითა მოალერსეობენ, და ნელიადის კმით მიღიღინებენ ,თუ სთქჳა ესრედ საამოდ დარონინებენ, რომელ უჯუფთოთა შემხედველთა შურსა შეჰგვრიან და ტოლთა მოაწადებენ.

სხჳაგანცა სხჳანი, მრავალ გვართა საკრავთა მკვრელნი, ოთხ ძალთა მჟღერნი, და გუდა სტვირთა დამბერნი, შაირთა მთქმელნი და ქებათა შემსხმელნი, სხედან უბან უბნად შენაკრებარნი, ზოგნი როკვენ და ცეკვა ბუქნობენ, ზოგნი ფუნდრუგობენ და სხჳად და სხჳად ასპარეზობენ და ტანისა მოძრაობით სეფურობენ, ძალთა მოიმედენი მორკინალობენ, ფერხ მალნი ჩალიჩთა ზომენ და სუფუქნი ხლტომათა ლამიან. სხჳანი ფეროგულთ ასმენ და ზე მენელოთა სდგნენ. და ჴმა შეწყობით შეზანებულნი აჭარალობენ, ქალნი ვითა ბროლ ფიქალნი, ნელიად მინაზებულის ჴმით მოხაწიობენ და გილოა მიგდებით მოიმღერიან, ხუნტრუცობენ და სამაია ფერხისობენ. კჳლავ მერაობენ და წიწილათა იტაცებენ, და ესე გვართა შექცევითა ღამე დღისა შრომათა ივიწყებენ და ჭმუნვათა იქარვებენ.

კჳლავ თუივინ მოგზაურნი გზათა მავალნი, დღისა შრომათაგან მომწყდარნი. და მზისა მოტყინარეთა სახმილთაგან დასორშავებულნი კაცნი თუ პირუტყვნი ჭგიან ველთა ვრცელთა, სულთა მაგუბებელისა სიცხით მიხრწნილნი და სახე ცვლილნი ფერ მიხდილნი, დაღრეჯით დაჭმუნებულნი და ვერ სით განრინებულნი, ელიან ოდენ დღისა მიდრეკასა და მზისა მიქცევასა, და მისთა მცხინვარებისა შუქთა მოკლებასა, მშვიდ შესმულისა ჭაერითა უგმოურასა, და ნელიად მოძრავის ზეფი-

რისა მოზერვასა და მონიავებით მოგრილებასა, და მაშინღა შეალმურებათა თვალთა ასმასა და მტვრით შეოლვილთა ბუდე კილოთა აზიდვასა და ცისა ლაჟვარდად მოელვარებულისა განხილვასა, ვითარცა კერძო დასავლეთისა მრავალ ფერად ამღ-ელვარებული მოასწავებს საღამოსა საამოსა ჟამისა წარმოჩი-ნებასა და მათისა პატიჟისა დასრულებასა. რომელსა თჳს გულ-დებულნი მადლობენ დღისა და ღამისა განმწვალებელსა მთავარსა. ვინა იგი დაუსხნა საზღვარი ერთი ერისა გარდა-უხდომელი, და მაშინ რა ნებისად სროსა ტაროსსა განიცდიან აღარ იცდიან და ისწრაფვიან. ცხენთა სწისვნიან ტაჯ კანთა იკ-მიან, და ნათლით სავანედ მისვლასა იღვწიან, და ოდეს მიიწე-ვიან საწადთა მათ საბანაკეთა, მოარებენ მისთა მიდამოთა დასადამეთა, და ეძიებენ უმცირ ფასესთა ველთა მდელოთა ყვავილოვანთა. წითელ ყვითელ მწვანოვანთა, საღამოჲსა მამ-კურნალოსა ნამით დაცვარულთა და საამოვნოდ სასარულთა, რომელნი შეუმკიეს ქუეყნისა მის კეთილ ჰაერობასა, და განუ-შვენებიეს ედემისე კერძოთა მდებარეობასა ზოგნი კოკბებით მოკუმტარენი და ზოგნი შლილებით მოჯუფთარენი, და ამა-ყად ლაღად მოფუნარენი, ბორცველთა და დუბეთა მობიბინენი და მრავალ ფერად მოდაჟღაჟენი, დია რაჲმე მოხდომით მო-ლამაზენი, სუნთა სუნნელთა მაფშველნი და საუნოსელთა მასია-

მოვნებელნი, მასთან მოითვალნიან ტევრთა მწვერვალ ბევრთა ხშირ ფურცლოვანთა და ხეთა მობორობანეთა, დღე მაჩრდილებელთა და ღამე მარგილებელთა, მისაჯდომ მისაყრდობელთა და ნებისდ განსასვენეთა, გშლავ წყარო წყალთა უხჳად აღმომჩქეფართა ანუ ბევთა ქჳშა განწმობთა მოწანწკარეთა და საწმინდით მოკამკამეთა, გინა მდინარეთა ვრცელად მომდინარეთა და ნელიად მოჩანჩქარეთა და ლადო ჭევლით სევდის უკუ მყარეთა. და ოდეს რა მისვდებიან ესრეთსა თვალთა სამოხსა და გულთა მაშვებელსა სასადურობსა, ისწრაფვიან და მალობენ, პეროით განსპეტაკებულთა სახედართაგან გარდახდომასა, ვინ უნეთა აკაზმულობისა ახდათა, რონინსა დაურვებასა, და სამოთხიურთა ველთა განმასა, სხჳანი კარაულით ტჳრთის გარდმომღებსა, ზოგნი რბიან და მოაქუსთ შეშანი, ზოგნი ბელმარჯვედ ჩამომკვესანი ანთებენ ცეცხლთა, სხჳანი წყალს ეზიდებიან, და საგანგიოთაგან საგბობელთა სიავთა და ჩალსანათა ამზადიან, და თუ ვის ცოცხლივ უსსი და ჭედილი მოჰყოლებიან, ანუ მფრინავნი, მათდა საკლავად გაფაციცებულნი იკდიან დანა მასათთა, ლესვენ და აბასრებენ, ვითა ირიოლთა მღჳდელნი მეცლისა მსხჳერპლთა შესაწირავად მკოცელნი, რომელნიმე ხსნიან საგძალთა და იღებენ ნუზლთა საგრობისად შენამზადთა, სდგმენ სერობისა ტაბლათა და ამრავლებენ სანო-

ვაგეთა, კჳლავ მოაქვსთ სურა სწადე, და ვის თსიერაკსი ძო-წეულის უფერადესითა და ნეკტარის უგემოვნესითა ღვინით სავსენი და მისნი კელთა მაგოგმარენი და პირთა საამოვნენი სასმისნი, თასი და კულა, ჩარა მათარა და კოკოშანი, სხედან მიღამა და მოღმა, შორს და ახლოს, უბან უბანად მოყვასნი და მოარიფენი, ზოგთა უსხედან მეტრიბნი და მგოსანნი კეთილ კმოსანნი და ზოგნი თჳთ მოსაკმაობენ და ტკბილ კმად დამ-ღერიან, იშვებენ და განცხრებიან, სმენ ღვინოსა ღამესა მო-უწყინოსა, სადა მათის შურით აღვსილი მთოჳარე, ესრედ ნა-თლად დამზერის, რომელ გეგონების შეხარბებით მათთა ბაგეთა მინაპურობთა თასთა შინა, პირი საკოცნელად მიუტა-ნია და მზესა თინითინობას შესცილებიაო, მერმე ნალხინებნი და ამოდ შვებულნი აიტაბლიან, და ვის კარავი უდგნ სარეცლით განმზადებული, და ვის შუაგი საფენ საგებლითა, და ვინ უფ-რორე ხავედისა ულბილესთა მოლთა მწჳანეთა ასფოდელოსა უსაგვანეთა ველთა მიწოლით მიეურებიან, და მაშვრალობისა დაქანცულობათა მოსვენებულის ძილით განიმტკიცებენ და გან-თიად აღდგომილნი ჭმადლობენ ღამისა გამთენებელსა თჳსთა გზათავე შედგომილნი.

# სხჳა და სხჳა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან.

---

შენი ქუდი დადეო,
სამართალი ჴსცადეო,

თხის პატრონს ალარც თხის გუდი?
რაზომცა იყოს იგ ცუდი.

ფერი ფერსაო,
მადლი ღმერთსაო.

ღორი ჭაჭაზედ მოკჳდების,
ამისთჳს კმა დავარდების.

ეს ხატი თუ ჩემი მოჭედილია,
რაც სიცხოვლე აქჳს გამოცდილია.

რაც თხამ თრიმლს უყო,
მის ტყავმს მიუწყო.

ვინც რამ ავად ექმნასო,
მან კჳლავ გარდაჴქმნასო.

ჩემი ურგები შვილით,
წყალს მიაქჳს ის მარტვილით.

კაცს რომ საქმე არა ჰქონდა,
მახათს იყრის არ დალონდა.

ის ეშმაკი თავის სახლსა,
არ დააქცევს ხმარობს ძალსა.

თხა გავჰყიდე თხა ვიყიდე,
ვისარგებლე ვერა კიდე.

პურსა პურით გაზმელო,
ამდენს ვიქმ რომ დამზლდელო,

ყური მისთჳს არ იზდების,
მრავლის სმენით განლიგდების.

ძაღლმან ჰრქჳა მამალს სოფლის შენება,
შეფა ყივილით ვჰყოთ მოთენება.

ჩემი რა გითხრა გული რით დაგწვა,
ჭირი და ჭმუნვა სულთქმა და აწვა.

მამის სული დაევიწყა პაპისასა იფიცევდა,
ესე გჳარი მოუბარი სიმათრლესა არა ჰსცევდა.

რა ჰქმნას კარგმან მონარდემან,
უდუშამოდ კელ მარჯჳენმან,

მე გლახ უცებ ცეცხლი ვჰსთქვით,
მისთჳს პირი რად დამწვით.

თქმულა სული ტკბილიაო,
ჴორცი დაჭრად რბილიაო.

თუ ჰკრავ სხჳს სახლსა წისლსაო,
შენ მიხვდე ზალაყინსაო.

ვირ პეტრე უშველს პავლეს,
ტყავი გახადეს სავლეს.

თე არ გინდა ნუ იქმ ავსა,
თვარ მიხვდები მისსა მჰსგავსსა.

ძლიერსა ჴელსა ქვეყნისა მთხრელსა,
ღმერთი ჰსცემს მქნელსა ჰშთააგდებს მთხრებლსა

ჩემის სულისა ვერა გამიგიარა,
თბილი აგრილებს ცივი გამითბიარა.

ნუ შესვალ ნუ კბანები,
თვარ ცივებულს ეგვანები.

მურვან ყრუკი არ იყო,
არ სასმენთ თჳს დაიყო.

დღეის გვერცხი ჰსჯობს ხვალის ქათამსა,
დაპირებულსა აძლევს ქრთამსა.

ზოგი ჭირი მარდებელად,
უთქვამსთ კაცთა სარგებელად.

მე და ძერასა წიწილა,
მიგვაქვს და აღარ მიწილა.

ძაღლის ხსენებაზედაო,
კაცი მოდგა კარზედაო.

ჯერ ძილო მერე სიზმარო,
უნახავად რამც იგმარო.

ოხერსა ეკლესიასა,
ეშმაკი დაჰრგავს იასა,

ხილი უხამს მეხილესა,
და მწჳანილი მემტილესა.

ვისაც თევზი უნდაო,
უსველოდ დაუწუნდაო.

ამხანაგი ნუ გძულსო,
საშოვარი ნუ გშურსო,

ჩიტი ბრტყჳნად არა ღირდაო,
მდევნელსა თჳთ უგვირდაო,

როგორიც მოსველ სვინაო,
მისთანა წახვალ შინაო,

სად ასმეტა სად წილკანი,
სად ზატკანი სად ციკანი.

ყვავსაცა თავის ბახალა,
მოსწონსო თავი ასალა.

თუ საყდრის კარი ღია იყოსო,
ძაღლმან ნამუსსა ჴელი მიჰყოსო.

გუთნის დედად თუ კარგი გყავს,
მეჴრეს ჴარნი ცუდად დაჰყავს.

თუ შენს ახლოს ჯირკს ისარი,
მოხვდეს თჳს ცემად იკმარი.

სადაც მიხვიდე ქუდია,
მათებრ არ გხურავს ცუდია.

თუ არ გინდოდეს ჭირიო,
მაგრა დაიცევ შირიო.

ბერს დედამთილს როსკიპსა,
რძალი ვერ გაუბოზდისა.

დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვეცხლად იქცევი,
თუ ხანი გაგიგრძელდების, სპილენძათ მოიგიცხევი.

ქვა თავის ადგილს მძიმეა,
რა დაჰსძრავ ცუდი რამეა.

გველი გარედამ ჭრელია,
კაცი შიგნიდამ ცრელია.

ქალი ქებით გათხოვდების,
რძალი კარგი ძვირ მისვდების.

ჰო ტაშტი გატდა არაო,
კმაგი დავარდა მწარაო.

ოდეს ქათამი წყალსა დალევსო,
ცასა შეხედავს მადლსა აძლევსო.

თუ ბატონს უყვარს ხვლიკი და გველი,
უმისაგან უბეს ჩასმას მოველი.

ჴელმან ჴელი დაბანოსა,
ორთავ პირსა არ ავნოსა.

ჴელთ ნაქმარი გულმან ნახოს,
თუ ავად ჰქმნა დაიძრახოს.

ბატონმა ჰსთქჳას მუხას გაშლი,
ასხიაო შენ ნუ დაშლი.

ამყოლს აჰყეო ჩამყოლს ჩაჰყეო;
ნების დამრთველი იყავ დამყეო.

ქურდი ქურდის მომპარავი,
ცხონდბაო ჰსთქჳტს არ ავი.

ჯერეთ თავო და თავოო,
მერმე ცოლს შჳლს მოვართვაო.

მეფე გაგიწყრეს თემს შეეხვეწე,
თემი შეგრისხდეს გარდაეხვეწე.

ბალი წვერში გამწარდება,
მაძღარს გემო წაუხდება.

წყალში თევზს ვინ დააფასებს,
უნახავად ჰსთხოვს აბაზებს.

ამვლელი ბევრი მინახავს,
ჩამომვლელი რას მიძრახავს.

უვის გავეყარო,
ვაის შევეყარო.

ქურდსა ქურდისა კარამდის,
მიჰყვე მივა მარამდის.

კატა მძეღვს ვერა შესწჳდაო,
პარასკევი შემხვდაო.

კვიცი დედის წინ მხლტომარე,
მგელს მიხვეს დაუმდგომარე.

ამბავს მალე ნუ იყიდის,
დახშირდების გაიაფდის.

ანაბარი მიწამ იცის,
შენ გამტეხი რად ხარ ფიცის.

გუდა კარი თვით არიყო,
სხვათ ბუზს უქნევს არ უბრიყო.

ჩემი ურგები ქოთანი ქვასსა,
შიგ მოხარშული აჭამეთ ძაღლსა.

წითელი ოქრო შავის დღისათჳს,
რად ზოგავს მუნწი საქმის მომართჳს.

მზე ჭაბუკის ჯოგი რემა გეგონა,
ჰგავს პატრონი არ გაგეგონა.

მოკჳდა ქათამი ოქროს კვერცხის მდებელი,
აღარ დაჰშთა მამალი მისი შემზადებული.

სახლს თუ ღმერთი არ აშენებს,
ამგები ვით დაამშვენებს.

კარმან კარსა ურქინოსა,
სამოვარს მიადგინოსა,

არ დაიმალვის ქებული,
შუბი დუგასა დებული.

ბერისავე ჰჯობს ნაკრავი,
სახროლი ჰსთქჳა თუ საკრავი.

უთქჳამსთ ვისი და ვისია,
ვისთჳს რა საშურისა.

შავსა ღორსა შავ გერეტა,
მისვდებისო რად ჰსთქჳას ნეტა.

ბედელსა ცერცვი შეყარეო,
ჩამოსცვივდებისნ შემომწყარეო.

ურჩი მიუშვი ნებასა,
თჳთ შეეყრება სნებასა.

ვაშლი შეაგდე ხანი გამოვა,
ამისთჳს საქმემ ვერ იწ,რმოვა.

თავი ნაქები გიტრათა ღირსო,
თუ რას იქადი ავათა გჭირსო.

რაც არა შეგქენ შვილი არ იყო,
რაც არ გაგზარდე ყმა არს მობრიყო.

ერთს ქჳწჳანას რომ მეახლე არ იყო,
ძაღლს დაარქჳეს ნაზისახარ, ამით პირი დაიყლო.

მებალემ ბაღში გველი მოკლაო,
არც შენ შეგრჩების, ეტყჳის გრძელ მკლაო.

ფურა მოკჳდაო,
ხანულობა გარდასწყდაო.

შინაური ქლამიაო.
მით ვერ ხედავს ღამეაო.

ყვითელი ოქრო მავის დღისათჳს,
ხიმუნწით ზოგვა, ნურა რისათჳს,

ყვავსა კაკალი გააგდებინე,
გამოგადგება შეანახვინე.

სადაც კომლი მაღალიო,
მე იმისი მაყარიო,

ზღჳა კოვზით დაილევაო,
წანწკარად დარდიქცევაო.

თქმულა ძალი აღმართს ხნავსო,
რჯულს გარდასდა დაუხსნავსო,

შენი მეზობელი შენი სარკე არისო,
ვინც არა ზარობს საყურებლად გმარისო.

ცანთ საცმელს ბევრი მიეგებება,
ჭკუას ყველაი თანა გაჰყვება.

თუ გული გულობსო,
ქადა არ სამულობსო.

მწიფეს ესროდნენ მკვახე ცვიოდა,
მისი მსროლელი ამას ჩიოდა.

თხას თხის ფერკით დაჰკიდებენ,
ცხვარს მისს ვალსა ვერა ჰსდებენ.

დრო დროთა თვარა ჟამია,
იწირვის ნუ გაქუს ვამია.

მშიერს მშიერი ეგონა და მაძღარსა მაძღარია,
არ იცოდნენ მათ უცებთა ერთმანერთის სამძღუარია.

მაძღარი მშიერს უფშვნეცდა პურს,
არ გაწყინოსა ეტყოდა ყურსა.

სვავად უხმობენ მრავლის მჭამელსა,
ესრეთვე ლოთად ბევრისა მსმელსა,

ცეცხლი ვსთქვი პირი არ დამწვა,
უთქმელობით გულს დამაწვა.

დღე წავიდა და არა ფათერაკია,
თუმც არ იყო შობად ღამე მაკია,

ასე ჰსჯობს მამულისათჳს, რომ შჳლა ჰსჯობდეს მამასა,
მშობელთა ძაგებისათჳს, ნუ ჩამომართმევთ ამასა.

თევზი თავით აყროლდების,
მისის სუნით ყველა ბნდების,

თქმულა ბედი მომეცო.
თუნდ ვიყო ნეხვთა მჯდომეცო.

კატა მჩხავანი თაგვს ვერ დაიჭერს,
მოერიდების, ჴმის მომსმენი მტერს.

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის' ძველი მოატანს ქვიშასა,
რა ხანი გაუგრძელდების, მასც მოაკლებენ ვიშასა.

ჯვრეთ ფურსა შეხედეო,
მერე საწველელ მოსთხოვდეო.

ურია გაღარიბდაო,
მკჳდარს ვირს ნალებსა ჰყრიდაო.

ზუსა შჳლი მოუკჳდაო,
შენ იტირე თავ დიდაო,

ავი ძაღლი არც თჳთონ ჰსჭამს,
არც სხჳათ აჭმევს ჰყეფსო ამას.

სადაც არ იყოსო,
ცოტა კმარიყო სო.

ღმერთი მაღლაა, და მეფე შორად,
ვინა ჰსცნობს ჩჳენსას, ნაქმნარსა ჰსწორად.

კარგისთჳს კარგი ოდეს ქმნილაო.
ბველო მოუჭი მაგრა კბილაო,

კრწყილს მასათი შაშრად ქეო,
მყისვე სული ამოქეო.

თუშო ცალ გვესი სად გაქცესო,
შინა მაქცეს მით არ დამაქცესო,

მამალმან ჰსთქუა მე ვიყივლებ, გათენდება თუ არაო,
თვარა ქათამს მელა შეჰსჭამს, ზნელა მისთჳს გმარაო.

მისი უზნობა მგონია, მსგავსებდეს ჭია ყელსა,
ბოლო აღარა ექმნების, თუ კი მოგვითხრობს ყველასა.

გაზას პატივს ჰსცემს ყველაი,
წოსას არ ეგო შველაი.

ბებიავ წირპლიანს თვალში ამისთჳს გაკოცებო,
რომელ კვერი დამიგრა, ჩემის საქმის უცებო.

არც ქარო შენგან შემოტანილი გამიშინდაო,
არცა გრიგალო შენგან გატანილი მინდაო.

იმერმან ნემსი აიფარაო,
ქარსა გამიყოფს გაისარაო.

ვინც რამ უნდა ჰსთქუასო,
ბუჭულაკი ჰფუქვასო.

ნათლიავ კორკოტს მოურიეო,
შენი სახუთქიც არის ჩემიც მცირეო.

ნათლიავ შენსას ჩემი მირჩევნიაო.
სხვისა შენსას რად მიშენიანო.

ქაშისგან შეშინებული. ქარს ჰბერავს იჭვნეულია,
კვლავ პირის დაწვას ეკრძალევის, მისთვის უთრთების გულია.

ურია წყალს მიჰქონდაო,
ჯოჯოხეთის გზას ზომდაო.

ურია წყალ წაღებული,
ხავსს იპყრობს შეშინებული.

აზანბურელი თათარი,
გოჭის მოდავედ რათარი.

მარტყოფული ქანდარაო.
გინდ იყოს და გინდ არაო.

ზურგ წამსდარ ცხენსა ბედ ავსო,
ჰზრახვენ ცას კაჭკაჭს ხედავსო.

უნახავმა ნახაო,
ცხრა მთა გარდალახაო.

ბატონის კარი სახუნდარია,
ამად ვზი საქმე, დაუმცდარია,

რძალმან ჰრქჳა დედავ შვილი მოგივიდაო.
მე რად მატყუებ მაგით სხვიდაო.

ძაღლისა გული, არ გაჰსწორდების,
მისდამი მცდელი, ცუდად მოჰსცდების.

უთქჳამსთ ყარყუმს რა მოჰგლევსო,
თავისა ენა მოჰსწყულავსო.

ბრმასა ჰრქჳტს ცოლის სიკჳდილი, კაცთა უგრძნობთა ლმობისა,
მიუგო მაშინ ვირწმუნებ, როც გვერდთ არ მომიწვებისა.

კაცის ცნობისთჳს, მეგობრის სინჯვა,
სხჳათ ურჩევიათ, რად უნდა ბრინჯვა.

ავად სახელის დავარდნას,
ამჯობინებენ თვალის გავარდნას.

ურემი გადაბრუნდება,
გზა ხომ მაშინ გამოჩნდება.

არა შეჰსჯდა მწყერი ხესა,
ეს მისს გვარსა უზრახესა.

აზნაურთა სტუმრობასო,
ნუ გგონია ხუმრობასო.

გაჭირება მაჩვენეო,
და გაქცევას გაჩვენებო.

უთქვამსთ მისსა სიწმიდესა,
ჯავახეთი ალეფხვრასა,

ვინცა მალვით ყურძენს ჭვრეტსა,
იგი შემდგომსა ჭმვეხსა.
ურემმან შეშა თუ არ გიზიდოს,
მის წილ ცეცხლზედა თჳთ მიიზიდოს.

## მ ა ჯ ა მ ა

## თ ქ მ უ ლ ი   დ ი დ ი ს   მ ე ფ ი ს

## თეიმურაზისა.

---

ჭჳლავც მითქჳამს სიტყჳა ყმისა პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა არვინ დავრჩებით შინაო,
სულის არ განმსვენებელო მგზავსად პირუტყვთა ფშჳნაო,
და კარი დაგვეხშჳს სასმლოსა გვესმის ნუ მოხჳალ შინაო.

ლექსთა ღარიბთა უცხოთა რომელ არს გამოკრებული;
მომინდა წერა ამისთჳს არიქმნას დავიწყებული,
კაცი ბძენი და გამგონი ვინ იცის შესჳდეს სწრებული,
და ცუცად არ წახდეს ნაშრომი დამევსოს ცეცხლი დებული.

ქართულად ჰქვიან მაჯამა შეურილად ითარგმანების.
წიგნები გამოკრებული იგ ერთად მოიყვარების,
იკითხვიდენ და სთარგმიდენ ლხინი არ შეედარების,
და გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაედარების.

მზე ცუდ მაშჳრალობს ვერ ნათობს ეტლზე შენ ზიხარ ისარა;
სხჳამ შენგან კიდე სამყარო ვინ გაისახლა ისარა,
მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო ისარა,
და მუნით მკრაგულმან ტყვე ქმნილსა გლახ შავმან მშჳლდმან ისარა

თქუჱნ მზესა სწუნობთ მე მას ვეჭვ ეტლსა სხჳა ვინმე ისარებს,
ეგ ცუდად ფანტავს მხივთა და უკეთ ანათებს ისარებს,
მელნის ტბა ტევრად გიშერსა გარს შემოივლებს ისარებს,
და ესვრის მჭჳრეტელთა გულებსა, ეკალმუხისა ისარებს.

გული ქმნილა ნარგიზთათჳს გლახ ლახჳართა ასახებლად,
ვერ ძალიდვა თჳთ რად ხელჰყვეს მაშ მნათობთა ასახებლად,
მით იძლივნეს მოიკიცხნეს ედემს ნორჩი ასახებლად,
და მსურ ის მისთჳს გაჭრა კელ ქმნა ვიწყო სულთქმა ასახებლად.

ვერ გაქეს ბრძენთა კრებულთა უტყუვ იქმნეს პირი დაეულო,
ციერთ მიელო ნათელი სრულ შენგან არ თუ დაეულო,
გაუჩნდებოდა ხიტურფე ვარდს შენთან ხანი დაეულო,
და გლახ ცრემლთა ჩემთა ნაკადი ვფუცავ სოფელსა დაეულო.

შენთჳს ხელმან გლახ უშენოდ მითხარ მზეო იამოსრა,
შენმან ეგრე სიტურფემან ვარდი მოკლა იამოსრა,
წარბ წამწამმან გული კრული პირველ მოკლა მერე მოსრა,
და არა გეგსარ ქვენაყოფსა მზეო იწუე ზარე მოსრა,

ერთი გული მაქჳს ხიკჳდილო მოყვრისად შემიწირავსო,
არც შენთჳს ველარ დავზადო ვერ მოგცე ნუ გიკვირავსო,
იგ არს პატიჟთა მიზეზი სად ვარდს ქჳრშ ბროლი სჭვირავსო,
და გული მას მიჰყავს არ ვიცი ჩემთჳს რა გაუპირავსო.

ყაყაჩოს უთხრეს ყვავილთა რადგან შენ გვსჯობნხარ ფერადო,
სუნი არ გიდის სურნელი ეგ საყვედურად მძე რადო.
თქუა ტურფამ ვინმე გაწყრომით მიბრძანა მგევხარ მე რადო,
ჲ გული წამართვა დამაგდო ლასჳართა დასამგერადო.

თავმან შენმან რისხჳა უნდა გადრებისა დაუმალსა,
მაგრამ რაგქნა სხივთა ცეცხლსა სულ დაუწვავს გული ალსა,
დაუჭრივარ ალმასისა მიდგომილა დანა მჳალსა,
ჲ თუ არ მიხსნის შევდგომილვარ მიჯნურისა მე გლახ გვალსა.

შენებრ ნაყოფი უფალმან გამს ედემს თჳთ რგოს მანასო,
უნდაარს ნირი შაქრისა ვარდმან ბაგემან დანასო,
მუნით ნაკადი სიტკბოთა უგჳდავ ჴუოს ვისაც მანასო,
ჲ ისწრაფვის ყოვლი მიჯნური ვინძი ქსიოს მანასო.

გრძლად მატირა საწუთრომან ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკუდილის გლახ სასმელი დამელია
მამაძულა თჳსთა ტომთა ძმა არ მამძმო დამელია,
ჲ აწ სოფელო ვარდთა ზროზა მამკალ რადგან დამელია.

მზე უნათლეს ჴქმნე ეტლსა ზი, მუქნი გრთებიან სადარი,
ამად ვსტირ მაგრამ რაზომ ვამს, ეგზომი ცრემლი სადარი,
ვარდსა მისტაცე შვენება, ბადახშანს ლალი სადარი.
ჲ ბროლსა სჭვენ ძოწნი ბაგენი, ფერად არლავნის სადარი.

ბრძენთა მოვასხსამ საქებრად დიონოსითურთ კრებულად,
ბაკნი მოგიძღუ̂ნა მთუ̂არემან გნახა უმეტეს 'ვსებულად,
მაგრამ ვით ჴელ ჰყონ მზე ნახეს თჳთ შენგან ნათელ კლებულად.
და გლახ ჭმუნვით გახდა პირს იცა, მისთჳს აჩნია ლებულად.

გული ნარგიზთა ლაშქარმან დასჭრა დასია ასერა,
მუშკი ხარ ზილფი ამბარი, ნახეთ რა მიყოს ასერა,
წამწამთ ინდოთა ლაშქარი, ჩემზედ აწვია ასერა,
და მე მომკლა მკეცნი მფრინველი ჩემზედ ხადილად ასერა.

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა;
ჩემ კერძ არ ბრუნავს საწუთრო, მისთჳს მომძულდა მეყოფა,
რა გამეყარა მოყვარე ხედავთ რომ სულიც მეყოფა,
და გული სავსე მაქუ̂ს ლახვრითა, სხუ̂ა კიდევ აღარ მეყოფა.

ტურფა ხარ შვენიერებით ტანი მიგიგავს ხაროსა,
ვაჲ შენისთანსა მიჯნურსა ვერვინ ეღირსოს არო სა,
კაცი კამს შენთჳს გაიჭრას და ლხინი გაიმწაროსა,
და ტარიელს ქუ̂აბსა ესტუმროს მაჯნუნთან დაემყაროსა.

მისგან გახდეს მეცნიერნი, არს უცნობნი დანაცარად,
მან დამიჭრა გული წამწმით, მოიხმარა დანაცარად,
სრულად დამწვა სხვათა ცეცხლმან, ლამის ვიქმნა დანაცარად,
და დამეგრის ბედი მრუდად, არ ვეჭვ ვიქმნა დანაცარად.

უწყის ღმერთმან ვერვის ვხედავ ჭკეენად შენსა დანაგზევსა,
დაუწვავარ იგ უწყალოდ ცეცხლსა შენგან დანაგზევსა,
გულისათჳს დასალასვრად წამწამ ჩემგენ დანაგზევსა,
და გზას მივმართო მაჯნუნისა, წანავალსა და ნაგზევსა.

მოიგონე საყვარელი შენთჳს თავის განაწირა.
კაცს აცხოვნებს სამართლის ქმნა უსამართლოდ განაწირვა,
გულს დასწვარი სიშორისა ათასი მკრა განაწირვა,
და სჯობს დააგზნა სიყვარული დავსებული განაწირვა,

გულსა გულზედ მითარ მიცვლი, გინდა რამე მოგცე სართად,
თავსა მოგცემ უმჯობესი, რაღა მოგცე ზედან დართვად,
არ დამიჯერ ვფუცავ ფიცსა ცეცხლზედ მიგცემ ზედან დართვად,
და უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა ღვინის ნაცვლად ზიხარ დათვრად.

მარგალიტსა და სადაფსა იაგუნდი სცავს დალალი,
მან გული ჩემი მიჰყიდა ვინცა ვინ იყო დალალი.
მამკლეს ტირილის ხანაცლოდ სისხლი აქვს ჩემი ალალი.
და ჩემის ლხინისა ყვავილი უმზეობამან დალალი.

ბროლ მინაზედან გიშერი ვარდმანცა თავი მუნარა,
სულ შვენებისა ყვავილი არ დარჩა შეკრბა მუნარა,
ვერსით შუელ ხავრუბლად ქალნი დამხვდნენ მუნარა,
და ზესთა ნათელთა მფლობელი ამისთჳს დაიმუნარა.

გულო ცეცხლი სურვილისა არ დაავსე შენ უგეთე,
მე მუნ ძამწვი აწ ლახვარი მგონივ მოგხვდეს შენუგეთე.
გნახე აგრე შენ უთმობლად თავსა ხელქმნა შენუგეთე,
და ყველა მით ჰქმენ გნახე ვინმე მნათობთაგან შენ უგეთე.

გული წამართვი ცნობითურთ. მითხარ ნაცვალი მომერა,
ვეღარა გპოვე ხაჩემოდ გაყრისა სევდა მომერა,
უარდო წალკოტისათჳს თვალნი რასათვის მომერა,
და მამწვი და წყალი არ მომეც დამწვარსა გულსა მომერა.

ბულბულთა შექმნეს ძახილი აგრე გაქჳს ვარდმან იშალა,
გულსა გაჭრა და ხელობა უშალე არ დაიშალა,
ხამს თუ მიჯნურმან ტან საცმლად სტავრისა ნაცვლად იშალა,
და გლახ შენმან შუქმან მნათობნი არვინ მითა იშალა,

ვარდი დჭნა მზემან შუქი აღარ მისკენ მოაწურვა,
ცრემლთა დვარი გაუწყვეტლად ერთ წამს აღარ მოაწურვა,
არ ვეწყალვი მას ქვა გულსა სული ყელში მოაწურვა,
და მომეშალა რადგან ლხინი სევდა ზრუნვა მოაწერვა,

მზესა შესწროვა მისგან შუქი ხედავთ ვეღარ მონად არა,
მთჳარე სავსე დარბის მაგრამ ვეჭობ მისთჳს მონად არა,
წალკოტს ვარდი მის დაწვთათჳს გამოჩნდების მონად არა,
და რად დაჰგროვდა ზემთან ეშვი მითთჳს მაქჳსო მონად არა

ვერვინ ნახოს მისებრ ვინც ვლოს ოთხი ყურე მონაკიდე,
ოდეს გნახა გავსებული მთვარე გახდა მონაკიდე,
ვითარ დასწვავს სიშორისა გულსა ცეცხლი მონაკიდე.
და გლახ ვით ვძლიო სურვილისა მძიმე ტვირთი მონაკიდე.

შავმან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ზედან დანასობი,
ეგ ზომ ჩაჭკრა გულსა შინა რომ მოჭკიდა დანასობი,
ლაწვთა მისთა შვენებითა ვნახე ვარდი დანასობი.
და ვეღარ ვნახე მთვარე მისგან მონავანი დანასობი.

დავლე საწუთრო შენებრივ მოისრა ვნახე აისრა,
ეს მიკვირს გული ქვა ქმნილი ვით ერთ წამ ეგრე აისრა,
მკითხევდნენ შენნი მნახველნი თუარ მზეაო აისრა,
და მე უთხარ მისი სამყოფი მნათობთა გვერდით აისრა.

ეტლი ნატრობს მგზავსად მზისა ზურგზე დამცა ისრად მასვა,
ამად ვსტირი სხივნი მისნი გულზე დამცა ისრად მასვა,
მიწყივ მით მთრავს ათასი მცა სურვილი და ეშხი მასვა,
და ვის ერჩიოს სოფლად ყოფნა არ გაიჭრა მისთვის მასვა.

მთვარე ვერ დაგედარება ვერცა მზე დაგედავისო,
მიწა და მტვერი შენ ფერხთა თავსა და პირსა დავისო,
შენი სხივნი და ციმციმნი გულზედან ლახვრად დავისო,
და ცუდათ გაქრებენ თინათინ ნესტან დარეჯან დავისო.

რად ვერ ხედავ ბულბულისა ხელქმნა გაჭრა განა ვარდსა,
შეუშლია ჭყეფს იმახის, სხვას არასა, განა ვარდსა
თავს ევლება, ზედ დაჰფრინავს, არაპირებს განა ვარდსა,
და ვით არ დაჭნეს თვითარ მოკუ̂დეს არ იქს ხელი განა ვარდსა.

ქმურების ბაგე ვარდსა სისხლი ჩემი მალე სვასა,
გულსა დანა ალმასისა სჭრის არელის მალე სვასა,
თჳთ თავსა ჭყოფს ძოწეულად დამიმკვიდრებს მალე სვასა.
და აგრე შექმნა მზე და მთვარე დაუწყებენ მალე სვასა.

ბულბულს სედავთ ვარდისათჳს ნაეკლარსა დანარევსა,
იგ ხელთა ებრ ტყეება გვნესით აქა იქი დანარევსა
თავს დაჰყივის მისსა მკჳლელსა გულსა შინა დანარევსა,
და იმახის თუ რად ვერ მხედავთ ხელსა სოფლით დანარევსა.

აწ ბულბულო ყველა გხედავსთ ხელსა სოფლით განაჭერსა.
ჩაჯდომიხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ განა ჭერსა,
გვიჩვენებ და შემოგვჩივი გულსა ლახჳრით განა ჭერსა,
და მოგიტან და გაგიგურნებ ვარდსა ხელით განა ჭერსა.

არ დაურჩა გულსა კრულსა რომ ლახვარი მას არ ესვა,
ეგრე ჭმუნვა სევდა ურვა გაუწყვეტლად მას არ ესვა,
წყლულთა მისთა საკურნებლად გლახ მკურნალი მას არ ესვა,
და ეს მიკვირს თუ რად არ მომკლამს იგ ეგზომი მას არ ესვა.

აწ გულსა კრულსა ნელ ქმნილსა ხედავ უპირებს მორევად,
რალად სულდგმულობს ლახვარი ვითა მუდამს მორევად,
გლახ ჩემთა ცრემლთა ნაკადი რაზდენი ჭადგა მორევად,
და აწ რადგან მომკლა ნიშატმან მიმიშვით მივყვე მორევად,

სოფელმან და ყამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
ათასი და უმეტესი, ჭირნი ჩემნი განაქარვა,
რაზრალია მისა გარდი, ოდეს იქმნა განაქარვა.
და ამას ვსჯერვარ მით რომ ერთი დღე არ მომხვდეს განაქარვა.

ანელებდი ნუ უგეოებ, გულო ცეცხლსა დანაგზებსა,
თვარ წინა გიცს მიჯნურისა სელქმნა გავლა დანაგზებსა,
ვერ მორჩები დაულახვრად წამწამთაგან დანაგზებსა,
და იგი მითქჳამს მას გჳლავ ვიტევი ესე სჯობსო დანაგზებსა.

რად არ დამჭრის გულსა კრულსა ალმასხისა დანა ტარით,
რად არ გიკვირთ არ გავჭრილვარ სოფლის სივრცე დანატარით,
რად ვერ მხედავთ საწადლისა მე სიკჳდილსა დანა ტარით,
და ბრუნავს ჭკჳა ცნობით ჩემით, ვით დაცთა დანა ტარით.

თვალთა გველეშთა ტურფათა მე ყმად მოყვალ მაშენსა,
ეგ მაშინც გულსა უწყალოდ წამწამ ლახვართა მაშენსა,
შენკენ არ მოვიხედაო ამით მალონებს მაშენსა,
და თუ ფერხთ არ შემოიხვევდე ეგრემც მამთხვევე მაშენსა.

წამწამს მესვრის შავი მშვილდი ისრად გულზედ დამალება,
ესე გვარმან მომისწრაფა სიკჳდილისა დამალება,
იგი ნახოს მოვანებით მთჳარეს მართებს დამალება,
და მარად ქებად ბრძენთა მართებს ენა ქებით დამალება.

ზედ გარდასდის ბაგე ვარდსა სისხლთა ჩემთა მონახომი,
დამაჩნია შავი ისრად გულსა ზედა მონასომი,
ნასოთ თქვენცა მოგეწონოსთ მნათობთ გვერდით მონასომი,
და სრულ ციერნი დაიმონა ვით ძალ ედვა მონასომი.

მე ვისთჳს ვკჳდები ბროლ ლალი, და მისი მონავარდია,
თვალნი მელნისა ტბას უგავს ზეციდგან მონავარდია,
იგი აშვენებს ხმელეთსა მზე ცუდად მონავარდია,
და მაგრამ მკვლელია კაცისა შეურისა მონავარდია.

ბროლ ვარდსა ტანად საროსა გიშრისა ბალი უშვენდა,
ლაწვთაგან ელვა კრთებოდა მჭვრეტელთა ისრად უშვენდა
წიგნი მივსწერე ებრძანა ეს ვით მკადრეო უშვენდა,
და გულს უთხარ თუ არ შეგიურის ველად გაიჭრე უშვენდა.

ვიცი მოგკლავს იგი პირ მზე, მისთჳს ხოტბა დანაზარსა,
ამად რომე ზარიფია, იგი ტურფა დანაზარსა,
მეტი რავერო თავსა უძლვნი მოვახსენებ დანაზარსა,
და მაშინც აგრევ შევეწყალე მოგონებდეს დანაზარსა.

მოუკლავარ მისგან სხივნი მე შემქნია დანატანხა,
ბროლ ბალახშთა მარგალიცთა ვარდსა ქვეშე დანატანსა,
გული მისკენ მიუზიდავს ხელსა სწრაფით დანატანსა,
და მისთა მჭვრეტთა გაასხელებს სჭრის ვითამცა დანატანსა.

ნეტამცა ვინმე ხიკჭდილსა, მომცა და არ დამაზარა,
ლხინისა ნაცვლად სოფელმან სულ მატირა დამაზარა,
უყვავილომ და უვარდომ ღვინომ რამცა ჰქმნა მაზარა,
და აგრემ რამ მოსჩანს სოფელი ბოლოს მიპირებს მაზარა.

ხოსროვის ცრემლი ნადენი კჳლავ დაამრავლის, მილები,
რამოაგონდის მოყვარე და დღენი წახდომილები,
ვარდსა ასველებს ინდოთა რაზმი ჴსჩანს უნდა მილები,
და იტყვის შენვე ხარ სიცოცხლე გული რაზომცა მილები.

ჭირნი მოვლენ მუდამ ჩემთჳს მოუკლებლად ამა სალა,
მოაქჳს ცეცხლი მოსადებლად, უკან მოსდევს ამა სალა,
ალმასისა გულსა ფარად ხამს და უნდა ამა სალა,
და ამისთჳს ჴსჯობს მზე მთჳარესა არაჩნია ამა ხალა.

რადგან არ ვჳხრები ქებასა ვგონივარ ვისმე მისანი,
აწ ჩემთა გულთა ლახვარი სთია მაქჳს სათათ მისანი,
სიმელნე შავთა წამწამთა სიმსხო სიხშირე თმისანი,
და იმისი შუქი მზეს. მატობს წითლითა ათა თმისანი.

მე თქჳენს ქებასა ვერ მივსვდი არც ჩემგან მოიგონებს,
ია დ~ ვარდი გაშლილი კჳლავ თქჳენთჳს შეიკონებს,
ალმასსა, სჯობსარ იმთენსა რაც ხმელეთ შეეწონებს,
დ~ თქჳენსა მნახველსა უღრუბლოდ მზეც არად მოეწონებს,

რა ვსთქჳა წამწამთა დარაზმა მიჯრით მიწყობა წარბისა,
ვარდისა ბაღსა ელვა, კრთის ზედან ციელი წარბისა,
მისთა ნაყნოსთა სურნელთა სული გავს განა წარბისა,
დ~ მისთვის ბნდებიან მჭვრეტელნი ქვე ურიანველარ წარბისა.

თმის ტევრი დ~ წარბთა სისქე მიჭრით ბაღსა შენი არა,
სულ სულნელთა სული შენ გდის დაცასჩაგრე შენი არა,
სხივნი შენნი გულსა ჩემსა მოეფინა შენი არა,
დ~ წყლულთა ჩემთა ვინ კურნებდა მოსწრებოდა შენი არა.

მელნისა ტბათა უჩრდილებს გიშრის წამწამთა შენება,
მთჳარე მზეს ეტყვის მჯობია, მოწმობით დართე შენნება,
მისთა მჭჳრეტელთა მიხვდების ღჳთისგან ზე აღშენება,
დ~ ხამს ხამეფოსა ტახტზედა წამს გაუვლელად შენება.

მოგწონდების დამნახველთა თმა მელნისა დაგიშრისა,
მიმდის მისსა მგონებელსა, თვალთა წყარო დაგიშრისა,
ჴე რიტორნო თქვენც აქებდით, ენა თუ არ დაგიშრისა,
დ~ მზე მთვარეთა სინათლესა ვფიცავ რომ ის დაგიშრისა.

ბადახშის ლალის მჯობია ყირმიზად გამჭვირვალისა,
პირშიგან თეთრი ელვა ჴკრთის უბრწყინვალესი ბროლისა,
აწ მათსა ქებას უმატოთ ვინ ვასთჳს გულმხურვალისა,
და გარდამხდელია მჭჳრეტელთა ის საწუთროსა ვალისა,

თქვენი ნასვა წყლულთა ჩემთა უფრო ცეცხლად მოეკიდა,
მოიშალა ბროლის სვეტი მკერდსა ზე გარდამოეკიდა,
ალმოფრინდა გული გულსა, ჩემი თქჳნს გამოეკიდა,
და თუმცა გინდა ცოცხალ ვიყო კვლავცა მნახე მოეკიდა.

ბაგე ტკბილი მარგალიტი ლაწვი ლალი მას არია,
ვინ არ აქებს სამართლითა თავს ეცემის მას არია.
სადაცა დგის სინათლითა აყვსია მას არია,
და ვარდის ბახჩა მაისისა ვერ ედარვის მას არია.

ანდამატისა მკერდზედა, ბროლისა სვეტი ემართა,
ამას უჭვრეტდა თვალ ხუჭვით ახედვით ვერ შაემართა,
ნახვად მისდინდნენ ტროფიალნი სხვავალი არა ემართა,
და მზე მასთან გახდა უნათლო საწყალსა ქს დაემართა.

ნეტარ ვით უქო სიტურფე საამო ტანადობისა,
მზე მისთა სხივთა გარუგრავს იწყომო ტანადობისა,
მანც გაცუდა მჯობსონებითა დართო მოტანადობითა,
და საყნოსელთაგან ამოქრის სული მოტანადობისა.

მზეო შენ შენთა მჭჳრეტელთა ლახვართა გულნი სარუა,
ჩანდის სისხლთა რუ ნაკადსა სიღრმესა სადა სარუა,
შენებრივ ხული ყვავილთა ქვეყნად არ უდის არუა,
და ეგ შენი ტანი ზარიფი ტურფად აღზრდილი სარუა.

ალვა რგული ედემს რწყვითა მნახველთათჳს სამოთხეა,
ვნახე თვალნი დავიხუჭნე სიტყვა ძლივ ვსთქვი სამოთხეა,
გიშრის შუბთა წყლული დამდვეს სისხლი ველსა სამოთხეა,
და არას მოგავს სამყარონი ედემი ვერც სამოთხეა.

ლომთა შენთა შენ აწყლულებ დაბნედილსა, მას გლავისა,
ვინ გმირია მხეცთა მსვრელი იმედი აქჳს მას მკლავისა,
წამწამ შენთა ლახვარ შენთა ყელს გამოხვევ მასკვლავისა,
და დილისი მჯობი მზე მთჳარეთა, ღამე ზუალ ვარსკჳლავისა.

ალვისა ხისა ქება ვსთქვა ედემში ამოსულისა,
ბროლ ლალი მინა გიშერი ფერად შეხედო სულისა,
მჯობახარ მზისა დილისა მოწმენდით ამოსულისა,
და შენ ხარ წამალი გულისა მის შენკენ წამოსულისა,

მეფე ბრძანებს მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დამიბადა,
მისთჳს იყო შესაწირვად რა მიბოძა დამიბადა,
გულსა კრულსა მაზე უდგა შეცაიპყრა დამიბადა,
და სახვევლი ხამთხულისა გარე სამდგა დამიბადა.

ესე არის ზეციერთა უნათლესი სამყაროსა,
თმა ტევრი და შუბლ ფიქლი კლდისა ტანი სამყაროსა,
ქება მესმა სახლით ჩემით სწრაფვით ლამის ამეროსა,
და არად მიკვირს მჭვრეტნი მისნი იმად დაასამეროსა.

ნეტავინა მისა მსგავსი სად ვინ ჰპოოს დარანიცა,
მისგან შვენის მთა და ბარი დარი დარობს დარანიცა,
მისგან ნათლად არა აჩნდეს რაიპოოს დარანიცა,
და მჯობიარის ყოველთა სულთა და მინახავს დარანიცა.

აწე მე ვიწვი ამისთჳს, თასი ვინ ელვას უდარა,
ქვეყნად არარის მისთანა ნურცავინ აქებს ცუდარა,
მზე აღმობრწყინდ' უღრუბლოდ სულ მორთვით ხმელეთს უდარა
და მასთვი ვსძრწი არ მომიძულოს თვარ მამინდების სუდარა.

მას ჰირმზესა შეუქმნია ხმელთა მნათი მისად უდრად,
შეკრებულა შუქი მზისა საქებრად და მისად უდრად,
შევეხვეწოთ გაიღიმოს არ გახადოს ხმელი უდრად,
და მან არ უყოს მის სულ ქმნილსა სატირლად და შესასუდრად.

მინდოდა ქება ქებაზედ სხვანიც ბევრი რამ წამ ერთო,
არ დასცალდე სოფელდო გრულო მოკლევ და წამ ერთო,
მისგან დამება გონება ტკბილი სიტყვები წამ ერთოთ,
და მინდოდა ცრემლი ზღვათა თვის ჩემი ნაიდაგ წამ ერთო.

დადნებოდა გული კლდისა თუმცა ჩემი არიარა,
მომიღუჳრია ცრემლი ველთა არ დამირჩა არიარა,
ხევდა ეცა გონებასა ძნელ ჰყრობილი არიარა,
და ამად ვსტირი ხელი თქვენი ბაღსა ჩემსა არიარა

ვინ მას ნახავს მზეს დასხსახავს იტყვიან თუ ალვისხეა,
მუშკამბრისა სული მას სდის მგონივ ყველა მას ასხია,
ეხვეწების ცისა მნათნი შუქნი შენნი გვავასხია,
და გვიბძანებს მისთა ხელქმნილთა სისხლი ველთა მოვასხია.

ვერღარას მივხვდი თუ ქება ჩემი ითქმოდა დარითა,
მე ვიღვრებოდი ცრემლითა აროდეს ვიყავ დარითა,
იგი აკრთობდა ელვასა მისივე მზისა დარითა,
და ნურვინ ეცდებით შვენება ვერავინ შეუდარათა.

რა მამაგონდის იგი მზე მდინდიან ცრემლნი მწარენი,
მისგან მომინდა პასუხი ტკბილნი არ საწყინარენი,
უსულოდ ვიყავ იგი დღე რაც ხანი წავიარენი,
და მან მამალხინა ვისი მძლევს მე სუფთა არე მარენი.

თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა,
მელნის ტბისაგან ლახვართა მჭვრეტელთა ისრად უშენდა,
ქება ვერა თქვეს მეტყველთა ენა რაზონცა უშენდა,
და გულო სიტყჳსა ამოკლებ უწყი გამრავლდეს უშენდა.

მზემ მთჳარემ და ვარსკჳლავებმა ქება წართქჳმს სამარისა
მათ პირველთა ქება თქმულთა ხმა დაიდეს სამარისა,
ნუმც გავსდები უიმედო დონევ შენი ამარისა,
და გეაჯები არ მიხუტნო ვიწრო კარი სამარისა.

მისთვის ვვედები რომ ყოველგან სიკეთის ხმა მასუდრისა;
ნუ თუ მასვას უკვდავების წყარო სადმე მასუდრისა,
მისგან მოდის სურნელება მუშკ ანბრისა მასუდრისა,
და შეურა მიღირს ყოველს ქვეყანად მას უცხოსა მასუდრისა.

მისგან მეტი ბრწყინვალება ყველა წარვსთქვი რაცა ჰსწჳრდა,
მან შუქითა დაანელა უნათლობა მზე მისწჳრდა,
სხვა მთვარისა ნავანისა მან სინათლე არ დასწჳრდა,
და შეცაემკო ბროლის ბალი თეთრი ელვა გამოსწჳვირდა.

ყოვლის საქმის მოწყენამდის კაცო თავი განიცადე,
მოიწიოს ნუ ისწრაფვი სჯობს თუ ცოტა განიცადე,
მაგრამ დრომან სატანჯველში სულ შეგვასწრა განიცადე,
და აწ გასწყვრიტე სოფლის საქმე და სიკვდილი განიცადე.

ესარის ქალ ყმათ ონარი მათგან თავის ქებანი,
თქვენცა ჰსთქვით რომ სოფელი სჯობს თუ ანუ ღვთის თვისებანი.
უსაქმოს მოწყენილის მეტება ცუდ დაუბობანი,
და სევდასა შეწირვებასა სულ დაუფანტავს ცნობანი.

თავი და ბოლო იგარის ღმერთი ვადიდოთ ცხოველი,
ვინ არის ბრძენი ჭკვიანი მისი მძებნელი მპოველი,
ვერსით მოურჩეთ ჯოჯოხეთს იგ მისი შეუპოველი,
და მისითა მოწყალებითა მეც სინათლესა მოველი.

ქრისტე გვიბძანებს ოთხს თავში პირითა უტყუველითა,
სოფელი შენთვის შევამკევ ტყითა წყალით და ველითა,
ამით ვიშოვეთ სამოთხე არა თუ სამოსელითა,
და ეს წავა ის ხომ არ გვინდა მითხარით რა მოველითა.

თვით გვიბძანებს და ყოველნი მისთა წმინდათა კრებული,
წინა გვიცს წერილთ სიმრავლე წიგნები გამოკრებული,
შეგვდავებასა გვაძლევენ ჩუენ ვიყვნეთ იმედებულნი,
და რად გვსურის სატანჯველთათჳს რადგვინდა ცეცხლი გზებული.

თუ სამღთო რამე მესიბძნა შიგ არავინ ჩაიხედავდა,
რაეს ლაყაფი შევკრიბი ყველა ნახვასა ბედავდა,
არა ესე სჯობს არა ეს ყველა სიცილით უბედავდა,
და ეგები სხვაცრამ ვასმინო მე ესე მეიმედევდა.

ეს უსარგებლო გათავდა აწ სხუა დავსწეროთ ბოლოსა,
სულ ნუ მივყვებით სოფელსა ცეცხლი არ მოგვებოლოსა,
სატანას არ ჩაუვარდეთ დაგვამხოს დაგვაბოლოსა,
და თუ ჩემიც რამე ისმინოთ სულსა არ დაებრკოლოსა.

თვით ღმერთი ბძანებს რომელი ამტკიცებს ოთხსავ ყურებსა,
თვალს არ უნახავს მისებრი არცა შესვლია გულებსა,
ჩანს სიკვდილის სახმილით არვის უშვებენ ულებსა,
და ხორცნი აქ მიწად გარდიქცეს ზეცას წაგვისხმენ სულებსა.

რად სოფელო სხჳა არ დასწვი ჩემებრ მე მქმენ დასადაგე,
გლახ ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მკარ დასადაგე,
დამიკარგე მე ასული იგარ ვიცი დასადაგე.
და სხჳა ჩაყოფი მათებრ ტურფა რა აშენდეს დასადაგე.

მე წამართვი სიცოცხლენი და ასული თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიცოცხლოთ არ მაღირსე არ დარჩენა,
არ გმართებდა ეგზომ მეტად მცერობისა გამოჩენა,
თავიდამე სულ ბოლომდის ჩეითვის ასრე დამეჩენა.

სულ დაგლიჯნე ვარდნი ჩემნი იგარ ვიცი მოაწვივე.
ვინმცა შექმნა მან შენ გიყოს რაცა ჩემზე მოაწვიე,
მოვკჳდე მიწაც აღარ მინდა ჩემზედ მხეცი მოაწვიე.
და მაშინ ეგრეც შემიბრალე იტირე და მოაწვიე.

მე ვხედავდი ლხინთა ჩემთა სრულად ჭირთა გარდაცვლითა,
იგ ერთობით სმათა ჩემთა მცერთა ჩემთა ჩანაცვივთა,
მივემსგავსე მე მსარ ბოლო დანაცჳვთა,
და მედებოდა ცეცხლი ცხელი დავდნებოდი მსგავსად ცჳლთა.

ბედი ანუ სვე დოვლათი იგბოლო ჟამს მომეშალა,
ვთქვი გავშიშვლდე სოფლისაგან ტანსაცმელად მომეშალა,
ყველა აქა ვერ დავსწერე რომლის საქმით დამეშალა,
და წამლად ვიწყე მარტო სევდით არამც ჭკუა ამეშალა,

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს სიკჳდილი თქჳა შოთამ ტკბილად,
რომ ხმელეთსა ანათობდეს ბოლოს იქმნას იგიც ჩრდილად,
ნაცჳლად ბროლთა მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა ბილად,
და გრაკის ხესა დავემსგავსნეთ პირველ ნორჩნი ალვაზრდილად.

ვაი თუ მიწყინოთ ყველამა სოფლისა სიყვარულითა,
იგ სოფლიონი ბრძენი და ან ვინც უბნობდეს სულითა,
ყველა სწუნობდეს სოფელსა არ გასაძრახად სულისა,
და არ ვიტყვი სრულად გაუშვით ნუ გიყვარსთ სულწასულითა.

სიცრუე ანუ სიცქავე სხჳაცა გსთქვი ერთი მისიდა,
მუხთლობა არის თავითგან სულ იმის დასწყისიდა,
ზეცას გასულსაც ქვე დასცემს რომე ძმა იყოს მისიდა,
და ანაზდად მოულოდნელად ბნელად ქმნას შენი დღისიდა.

შოთამ ჰსთქვა სწორეთ მიდგომა მზისაგან ვარდთა ნესვისა,
მისგან ბოლომდის გატანა თქვას ვინმცა დაიკვეხისა,
ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
და მას დაუდუმდეს ბაგენი ვეღარ ვის შეუშვესისა.

ცასტი იმას ვით ღირსიყოს რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგანაზდად გარდმოაგდოს აღარ იყოს მისი ზრდილი,
მისად ნაცუ̂ლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი,
და მიწამანცა დაიწუნოს ზედ საჯდომად აღმოზრდილი.

ამოდნად როგორ გვიყვარდეს ჩუ̂ენნი ამ გვარად მტერები,
ბოლოდ გაგდებს ყველასა რაზომცა ზედ ეგერები.
მარტო რას გარგებს ხორცი და თუ სულსაც არ ეტერები,
და იგი დაადგრეს უგუ̂ლაგად ჩუ̂ენ გიქმნეთ მიწა მტვერები.

ან ადრე დაგვხოცს უდროოდ ახალსა მოუწევარსა,
ვარდსა გაგვიჭკნობს უფრჭკვნელსა შეგვიქს ბედისა მწევარსა,
ვერ მოურჩებით მართ ვითა გურდღელი მალსა მწევარსა.
და ვხედავთ და არ გავცჳეხილვართ იგ მისგან მოსწევარსა.

თუგრძლადგვაცოცხლებს ჩუ̂ენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს ჩუ̂ენს წინ დაგვიხოცს სულთაგან. უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიდებს უმრეტსა ჩუ̂ენთნს ჩამოჭკრავს გვესებსა,
და ჩუ̂ენ დაგვიმკუდრებს ჭირსა და სულთქმა ვაება გვნესებსა.

ამას გვიზამს და სხუ̂ასაცა ვსთქუ̂ა მისგან ჩუ̂ენზედა თქმულება,
ქსრეთ მოგვშლის და წაგვასხდენს არ გვინდეს სულთა დგმელე ბა,
იგი უსწორო უერბო უშვერ ვყო კეთილ თქმულება,
და იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლული ულება.

ან სიკჳდილს მოგვცემს ანდაზად ან სიბერეს მძნელებსა,
პირსა მთჳარულებ გავსილსა ალმურსა დასდებს ბნელებსა,
აგრე უებრო მნათობსა ვერ ექოს ბრძენთა ენებსა,
და ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელთა სოფლისა მაშვენებელსა,
წარბსა მშვილდურებ მოხრილსა მიჯნურთა მახელებელსა,
შავთა წამწამთა ნარგიზთა გულზედან ლახვრის მხებელსა,
და გააურევინებს წაახდენს გულზედან ცეცხლის მდებელსა.

პირსა დაუჭკნობს მნათობსა უთეთრეს ზამბახისასა,
ლაწვისა ფეროვნებასა ვარდულებ გაშლილისასა,
წაჭხრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან სარო ალვის ხისასა,
და დაუდუხჭირებს ჯავარსა სამდომსა უსულისასა.

ბაგეთა მოშლის ეგეთსა უკჳდავებასა ღიმობდეს,
კბილსა წაახდენს მისთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,
თმას მუშკის ფერთა კოჭამდი რომ გიშრის ტევრად სშირობდეს,
და გაუსპეტაკებს თოვლურებ იგ ველარ ამბრად ძვირობდეს.

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამას შიგან ვით იქმნას გული არ დასაკოდები,
ერთი დღე ვიცნათ იგ უნდა მრავალ დღე ვიყვნეთ მგოდები,
და ბოლოჟამს ისევ სიკჳდილი გულზე მიწა და ლოდები.

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან ყოვლთა არსთა მბადემან,
ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადემან,
ესეც ჩუენ მოგვცა სიმართლედ მუნცა კეთილთა მზადემან.
და სულ ვერ გვიშოვნოს წარწყმენდად ბოროტთა მოსწადემან.

ამას არ ვიტყვი არ გვინდეს სოფლისა ნივთიერები,
ესრედ ვიხმაროთ კეთილად ბოლოს არ გასამწარები,
არა გვიდგს სული მოკუდავი პირუტყვებრ გასაქარვები.
როდეს ეს ხელთა გაგვარდეს მუნ არ დაგვეხშას კარები.

სხუა და სხუა ლექსნი თ. დიმიტრი ბაგრატიონისა,

სხუა და სხუა ანბავი . . .

მაჯამა . . .